საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 155 (434) შაბათი, 15 აგვისტო, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ აფხაზეთში, შევიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ დასავლეთ საქართველოს რაიონებში შეიარაღებული ბანდების თარეშს, რომლებმაც გასულ ღამესაც განახორციელეს მორიგი დივერსია—ააფეთქეს რკინიგზის ხიდი. სამწუხაროდ, ამ ოპერაციის მსვლელობის დროს მოხდა შეტაკება ეროვნული არმიის ქვეგანაყოფსა და აფხაზეთის გვარდიას შორის, არის მსხვერპლი, არიან დაჭრილები

წუხელ შევიტყვეთ

სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრის ცნობა

ცხინვალის რეგიონში სოფელ ავნევთან მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით შედგა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელებისა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სატელეფონო საუბარი. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და რუსეთის მთავრობამ გამოხატეს ღრმა შეშფოთება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და სამძიმარი გადასცეს მთელ ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას. მათ გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს ხელმძღვანელობასთან ერთად მიიღონ სასწრაფო ზომები დამნაშავეთა შესაპყრობად და დასასჯელად.

●

შსს პრესცენტრის ცნობა

13 აგვისტოს ყაზბეგის შინაგან საქმეთა განყოფილებას მიმართა სოფელ სიონის კოლმეურნეობის მეიჯარემ ფშაველა წიკლაურმა იმის თაობაზე, რომ წინა დღეს თუშოს ხეობაში სამხედროფორმიანი სამი ბოროტმოქმედი თავს დაესხა კოლმეურნეობის მწყემსებს და ავტომატების მუქარით წაართვა 8 ათასი სული ცხვარი.

საქართველოს შსს ყაზბეგის რაიონის პოლიციის განყოფილების და ჩრდილოეთ ოსეთის შსს მიერ განხორციელებული ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებებით დააკავეს ყაჩაღები. ისინი აღმოჩნდნენ ჩრდილოეთ ოსეთის დიგორის რაიონის მცხოვრები არტურ ბესტაევი — სამაჩაბლოს სამშვიდობო ძალების სარეზერვო ჯგუფის ოცეულის მეთაური, და იმავე ნაწილის ჯარისკაცი, ცხინვალელი ალან აბაევი. მესამე ბოროტმოქმედმა მიმალვა მოასწრო. ცხვარი კოლმეურნეობას დაუბრუნდა.

ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ბანდები კვლავ სჩადიან ტერორისტულ აქტებს. 13 აგვისტოს 10 საათზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში სამსახურეობრივი ავტომანქანით მიმავალ ახალგორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული 20-კაციანი ჯგუფი. მათ იარაღის მუქარით წაართვეს ერთი ავტომატი. წინა დღეს ხობი-მენჯის გზაზე ავტომატებით შეიარაღებული 4 ბოროტმოქმედი თავს დაესხა თბილისის ვაკის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებს, პოლიციის მაიორს ნოდარ რეხვიაშვილს და პოლიციის ზემდეგს ლიონ ჭოჭუას, რომლებსაც წაართვეს ავტომანქანა და წაიყვანეს ზუგდიდის მიმართულებით. სოფელ ონარიის ტერიტორიაზე მათ შეუერთდა ავტომატებით შეიარაღებული 16 ბოროტმოქმედი, რომლებმაც განაიარაღეს პოლიციის მუშაკები და მიიმალნენ.

13 აგვისტოს ღამით მდინარე ინგურის ტოტზე ააფეთქეს 60-მეტრიანი რკინიგზის ხიდი. ხიდის 18-მეტრიანი სექცია წყალში ჩავარდა.

14 აგვისტოს დილას ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად ეროვნული გვარდიის ნაწილებმა გაიარეს ზუგდიდი. ქალაქში შევიდა ქართული პოლიციის ნაწილი, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის დავით ზეიკიძის მეთაურობით.

ბრიფინგი სახელმწიფო საბჭოში

ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა აფხაზებს, ქართველებს, ყველას—არ დაუშვან მდგომარეობის გართულება

14 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს ოვალურ დარბაზში გაიმართა ბრიფინგი ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. მასზე განცხადებით გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მან კერძოდ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი კურსი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომლის ქვაკუთხედია მშვიდობიანი თანაცხოვრება ყველა სახელმწიფოსთან, შერიგებისა და პატიების სულისკვეთება ქვეყნის შიგნით მცხოვრები ყველა ხალხის მიმართ. რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები მიმართულია ქართველი ხალხის ერთიანობისაკენ. ვერავინ ვერ შეგვედავება იმაში, რომ ჩვენ ოპონენტებს არ შევთავაზეთ დიდი ეროვნული კომპრომისი, რომლის გამოხატულებაც იყო ამას წინათ გამოქვეყნებული მანიფესტი. ეს თითქმის უპრეცედენტო დოკუმენტია, რომელშიც ჩვენ ძალიან დიდ დათმობებზე წავედით ჩვენი მოწინააღმდეგეების მიმართ, იმათ მიმართ, ვინც იარაღით ხელში ებრძოდა არსებულ ხელისუფლებას, შეიჭრა ტელეცენტრში...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობდით, რომ შერიგების შემდეგ ერთად ვიბრძოლებდით საქართველოს კეთილდღეობისათვის. ეს იყო უაღრესად რთული ნაბიჯი, რომლისთვისაც კიდეც გვაკრიტიკებენ. სამწუხაროდ, ამას მოპირდაპირე მხარემ საპირისპირო ნაბიჯებით უპასუხა — მოლაპარაკების მსვლელობის დროს ბანდიტურად დაესხნენ თავს და მძევლებად აიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში დავით სალაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზიბერტ ხაზალია და სხვები. ასეთი აქციის შეფასება სახელმწიფო საბჭოს წევრებისა და ფართო საზოგადოების მხრიდან ცალსახა იყო. კატეგორიულად დაისვა საკითხი მკაცრი ზომების მიღების შესახებ. ჩვენ მოვითხოვეთ მძევლების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გავაფრთხილეთ, რომ გამოვიყენებთ ძალას, მაგრამ ყველაფერმა ამან შედეგი არ გამოიღო. ამიტომ შეიქმნა სპეციალური რაზმი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს. ჩვენ ვიცოდით, სად ჰყავდათ მძევლები, ამიტომ გუშინ კიდევ ერთხელ გავაფრთხილეთ აფხაზეთის ხელმძღვანელობა მიეღო ზომები მათ გასათავისუფლებლად. აგრეთვე კატეგორიულად მოვთხოვეთ ბანდების მეთაურებს დაუყოვნებლივ გამოეშვათ მძევლები. იყო შეპირება, რომ გაანთავისუფლებენ მხოლოდ რომან გვენცაძეს, მაგრამ, როგორც გამოირკვა პრეზიდენტყოფილთან მოლაპარაკების შემდეგ მათ თავისი სიტყვა გადათქვეს. აი ამიტომ შეიარაღებული ძალები შევიდნენ აფხაზეთში, შევიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ დასავლეთ საქართველოს რაიონებში შეიარაღებული ბანდების თარეშს, რომლებმაც გასულ ღამესაც განახორციელეს მორიგი დივერსია — ააფეთქეს რკინიგზის ხიდი. სამწუხაროდ, ამ ოპერაციის მსვლელობის დროს მოხდა შეტაკება ეროვნული არმიის ქვეგანაყოფსა და აფხაზეთის გვარდიას შორის, არის მსხვერპლი, არიან დაჭრილები.

ამ შემთხვევაში, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, ბუნებრივია, რაღაც ოკუპაციაზე ლაპარაკი სრულიად უმართებულოა, რადგანაც საქართველოს ეროვნული არმიის ნაწილები მოქმედებენ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მომავალშიც იმოქმედებენ, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები. ჩვენ სისტემატური კონტაქტები გვაქვს სერგი ბაგაფშთან, ალექსანდრე ანქვაბთან, თამაზ ნადარეიშვილთან და სხვებთან. ყველანი ერთსულოვნად იზიარებენ იმ აზრს, რომ მძევლები განთავისუფლებული უნდა იქნენ, რათა კონფლიქტმა უფრო ფართო მასშტაბი არ მიიღოს. ბაგაფშმა უკვე შეგვატყობინა, რომ გვენცაძე გათავისუფლებულია, 15 წუთის შემდეგ კი გვენცაძე დაგვიკავშირდა ტელეფონით და გვთხოვა გაგვეგზავნა ვერტმფრენი თბილისში გამოსაფრენად. რაც შეეხება დანარჩენ მძევლებს, ისინი კვლავ დაკავებული არიან.

ედუარდ შევარდნაძემ აცნობა ჟურნალისტებს, რომ დღესვე სოხუმში გაემგზავრნენ თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი, რომლებიც თენგიზ კიტოვანთან ერთად გამართავენ მოლაპარაკებას. დიალოგი უნდა შესდგეს, მე ვერ ვხედავ მისი ჩაშლის მიზეზს. ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა აფხაზებს, ქართველებს, ყველას არ დაუშვან მდგომარეობის გართულება.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა აგრეთვე ინფორმაცია კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტის შესახებ. ყორნისის რაიონის სოფელ ავნევში მოსავლის აღების დროს მოხდა შელაპარაკება ქართველებსა და ოსებს შორის. გუშინ ღამით იქ გაემგზავრა სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში მყოფი ქართული ბატალიონის წევრთა მცირე ჯგუფი შვიდი კაცის შემადგენლობით, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, ისინი წააწყდნენ ჩასაფრებულ ბანდიტებს, რომლებიც დაუნდობლად გაუსწორდნენ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს. ამის შემდეგ თქვა ედუარდ შევარდნაძემ, მე მქონდა სატელეფონო საუბარი რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც გაიზიარა ჩვენი შეშფოთება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და დაგვარწმუნა, რომ ჩვენთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ბოროტმოქმედნი გამოვლენილ და დასჯილ იქნენ.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს. ბრიფინგის ბოლოს მან განაცხადა, რომ სულ ახლახან ელაპარაკა სოხუმს, საიდანაც შეატყობინეს, რომ ახლა იქ სროლა აღარაა, თუმცა, დაამატა მან, არ გამოვრიცხავ მისი განახლების შესაძლებლობას. მდგომარეობა ჯერჯერობით რთული და დაძაბული რჩება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება და დადებით შედეგს მოგვცემს.

საუბარი სომხეთის პრემიერ-მინისტრთან

14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო სომხეთის პრემიერ-მინისტრი **ხოსროვ არუთინიანი**, რომელიც საქართველოში ხანმოკლე საქმიან ვიზიტად ჩამოვიდა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმარს, მიულოცა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურად დანიშვნა, გააცნო საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები.

საუბრის დროს განიხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები. გამოითქვა ორივე მხარის სურვილი გამართონ ორი მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელთა რეგულარული კონსულტაციები, შეეხნენ ეთნოკონფლიქტების პრობლემას, მთიანი ყარაბაღის, ცხინვალის რეგიონის ამბებს, მათი მოწესრიგების გზების ძიებას.

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა შეშფოთება საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციის, რკინიგზის ტრანსპორტზე დანაშაულობების, კერძოდ, ერევან-მოსკოვის სამგზავრო მატარებლის ამასწინანდელი გაძარცვის გამო. მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს სომხეთისათვის განკუთვნილი მრავალი ტვირთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, ხშირად ვერ აღწევს ადრესატამდე.

ბატონმა არუთინიანმა გამოთქვა წუხილი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების და ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა მძევლად აყვანის გამო, ამავე დროს აღნიშნა, რომ სომხეთის მთავრობა დიდი პატივისცემით ეკიდება საქართველოს რესპუბლიკის და პირადად ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას ესკალაციის გაფართოების დაუშვებლობისა და წარმოშობილი კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა**.

კეთილმოსურნე მიზნით

14 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის დელეგაცია.

ილაპარაკა რა რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციაზე, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის გზაზე აწყდებიან მნიშვნელოვან სიძნელეებს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გამართოს დიალოგი ექს-პრეზიდენტის მომხრეებთან, თქვა მან, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ საბოლოოდ წარმოაჩინა იმათი ნამდვილი სახე, ვინც დღეს დემოკრატიისათვის იარაღით იბრძვის. გახშირებული ტერორისტული აქტები, რომლებსაც ახორციელებენ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულის გზაზე დამდგარი ადამიანები, გვაიძულებს მივმართოთ უაღრესად გადამჭრელ ზომებს დესტრუქციული ძალების ბანდიტური გამოხდომების აღსაკვეთად.

ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის თანათავმჯდომარემ მერი კალდორმა განაცხადა, რომ საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის წევრთა ჩამოსვლის მიზანია, უფრო ღრმად ჩასწვდნენ აქ მიმდინარე პროცესებს, ხელი შეუწყონ ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში, მოამზადონ რეკომენდაციების პაკეტი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **გიუნტერ დალჰოფი**.

პრობლემა

პური ჩვენი არსობისა

მარცვლეულით ქვეყნის უზრუნველყოფა უპირველესი საზრუნავია და განსაკუთრებით სერიოზულ განსჯას მოითხოვს.

> „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ..."
>
> ილია ჭავჭავაძე.

იქნებ წინამდებარე წერილის სათაურში გამოტანილი სიტყვები ბევრს გაცვეთილადაც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ოდითგანვე ასე იყო, არის დღესაც და მომავალშიც ასევე იქნება. ეს პრობლემა ჩვენთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს, როდესაც თავადვე უნდა მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს აგრარულ საკითხებში სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი სერგო რუხაძე და სახელმწიფო საბჭოს აგრარულ საკითხთა კომისიის და რესპუბლიკის მიწის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პაატა კოღუაშვილი.



სურათზე: ხორბლის მოსავლის აღება გორის რაიონის ხელთუბნის მინდვრებში.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

მსოფლიოში მარცვლეულის წარმოება ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემა იყო და რჩება. ეს განპირობებულია იმით, რომ მარცვლეულს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგების ამა თუ იმ ზომით განვითარების და, საბოლოოდ ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ძირითადი სასურსათო პროდუქტი პურია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). კვების ულუფის კალორიულობის მიხედვით, პურსა და პურპროდუქტებზე მოდის დედამიწის მოსახლეობის საკვები ბალანსის დაახლოებით 50 პროცენტი, უფრო მეტიც, რიგ ქვეყნებში და ადამიანთა ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში ის 20-დან 90 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ამდენად მსოფლიო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ სამარცვლე მეურნეობის განუვითარებლად ერთწლოვან და მრავალწლოვან ტექნიკურ კულტურებზე, მეცხოველეობის ან სხვა რომელიმე დარგის პროდუქციის დამზადებაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია უბრალოდ ეფექტიანი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა, მარცვლეულის პრობლემას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად უდგებიან.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სამოციანი წლების დამდეგიდან, უდიდესი შესაძლებლობების მიუხედავად, თითქმის ტრადიციად იყო ქცეული მარცვლეულის პრობლემის იმპორტის ხარჯზე გადა[illegible] რაც ყველა რესპუბლიკი[illegible] და, ბუნებრივია, ჩვენთვისაც პრობლემის მოხსნას ნიშნავდა. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს დღესაც გამართლებულად მიაჩნია მარცვლის შემოტანის იმედად ყოფნა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მათ შორის არიან აგრარიკოსი მეცნიერნიც, რომელთაც დასჩემდათ პრობლემის გადაწყვეტისადმი ცალმხრივი მიდგომა, და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის პურპროდუქტებით მომარაგებაში უაღრესად რთული მდგომარეობა გვაქვს, თვალი მაინც იმპორტზე უჭირავთ. იმას, თუ რამდენად გონივრულია ეს, ცოტა მოგვიანებით ვიტყვით. ახლა კი გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ მსოფლიო სამარცვლე მეურნეობაში მიმდინარე პროცესები. არ შეიძლება ჩაკეტილი განვიხილავდეთ მარცვლეულის პრობლემას. ეს დამღუპველია.

მსოფლიოში მარცვლეულის პრობლემა დიდი ხანია მწვავედ დგას. ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოს მდგომარეობაზე დაკვირვების ინსტიტუტის სპეციალისტებმა მარცვლის პრობლემა ასე ჩამოაყალიბეს — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და სარისკო მიწათმოქმედების რაიონებში მისი წარმოების არეალის გაფართოების პრაქტიკამ გამოიწვია, რომ მსოფლიოს მთელი სახნავი მიწების მესამედზე ნიადაგის ეროზიული დანაკარგების ტემპი აღემატება მისი აღდგენის ტემპს. ეს ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების არსებული ტექნოლოგიური სქემების ფარგლებში მიწის ნაყოფიერების რესურსები ძირითადად ამოწურულია, არ არის სათესი ფართობების გაზრდისათვის გამოსადეგი დამატებითი მიწები, არ კმარა მტკნარი წყალი და ა. შ. დედამიწის მოსახლეობა კი მატულობს. მეცნიერებს აშფოთებთ ის, რომ 1984 წლიდან მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი თითქმის ორჯერ უფრო ნელა იზრდება, ვიდრე დედამიწის მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ 1984 და 1990 წლებში, განსაკუთრებით ხელსაყრელი ამინდის პირობების მეოხებით, მსოფლიოში მოწეული იყო ხორბლის, ბრინჯის და სიმინდის სამივე ძირითადი მარცვლეული კულტურის რეკორდული მოსავალი.

მდგომარეობას კიდევ უფრო საგანგაშოდ მივიჩნევთ, თუ გავეცნობით მსოფლიოში და ცალკეულ რეგიონებში მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების ამსახველ მონაცემებს. საყოველთაოდ მიღებულია, რომ ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი უმთავრესია მოსახლეობის კეთილდღეობის განსაზღვრისთვის. ამასთან, იგი სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ბევრად ნაკლებადაა დამოკიდებული ერის შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილებაში არსებულ უთანასწორობაზე. ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით, მარცვლის წარმოება ის მგრძნობიარე ბარომეტრია, რომელიც მრავალ სხვა მაჩვენებელზე სწრაფად რეაგირებს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესებაზე. როგორც არსებული მონაცემები მოწმობს, 1950-1984 წლებში სასუქების, პესტიციდებისა და ჰერბიციდების გამოყენების კიდევ უფრო მეტი ზრდის წყალობით ძალზე გაიზარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

- ექსტრემიზმს ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ! 3
- სისუფთავის დაცვით ალყკვეთისი საშიშ სნეულებათა გავრცელება. 4

გვჯერა, ღვთის წყალობით კეთილგონიერება გაიმარჯვებს!

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო თავმჯდომარევ,

სახელმწიფო საბჭოს პატივცემულო წევრებო,

საქართველოში შექმნილი ამჟამინდელი სიტუაციისა გამო მინდა გამოვთქვა ჩემი შეხედულება მიმდინარე მოვლენებზე.

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ახდა მრავალი წლის ოცნება, როცა ჩვენი ქვეყანა გავიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფართო ასპარეზზე, როცა მყარდება დიპლომატიური ურთიერთობა მრავალ სახელმწიფოსთან და იქმნება შესაძლებლობა მათთან საქმიანი და კულტურული ურთიერთობისა, როცა იხსნება გზა მშვიდობიანი და სამართლიანი ქვეყნის მშენებლობისა, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კვლავ არ ცხრებიან ის ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ ეს პროცესი. ისინი, ცრუ მაღალ იდეალებს ამოფარებულნი, აფეთქებენ ხიდებს და ლიანდაგებს, აზიანებენ შენობებს, იტაცებენ ხალხს, ძარცვავენ მატარებლებს, ორგანიზაციებს, აშინებენ მოსახლეობას, ხოცავენ ადამიანებს და კადრულობენ ყველაფერს, ოღონდ მშვიდობა დაარღვიონ ქვეყანაში.

ასეთ პიროვნებებს არ შეიძლება კეთილი მიზანი ამოძრავებდეთ. არ შეიძლება ძარცვას, ნგრევას, ბოროტებას რაიმე გამართლება ჰქონდეს. სიკეთის ქმნას მაღალი ზნეობა სჭირდება და არა გაბოროტებული გული.

მიუხედავად ყველაფრისა, სახელმწიფო საბჭომ ბევრი რამ დაუთმო მათ და შერიგებისა და მიტევების დიდი მაგალითი უჩვენა ხალხს: გაათავისუფლა პატიმრები, გამოსცა სპეციალური სამშვიდობო მანიფესტი.

ეს იყო მთელი ერის მშვიდობისმოყვარე სულის გამოვლინება. ამიტომაც ხალხი სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

4 აგვისტოს გამოცხადებული მანიფესტი იყო ყოვლად აუცილებელი, იგი იყო კიდევ ერთი დიდი ცდა იმისა, რომ ურთიერთგაგებითა და მშვიდობით გადაწყვეტილიყო მტკივნეული საკითხები, და ეს დაინახა ყველამ.

11 აგვისტოს მომხდარი თავდასხმა და მის შედეგად შინაგან საქმეთა მინისტრის და სხვა პირთა დატყვევება, უფრო ადრე კი ბატონ სანდრო კავსაძის გატაცება მდაბალი სულის ადამიანთა უკაცური საქციელია. ასეთ რამეს ვაჟკაცი და მით უმეტეს ქრისტიანი არ ჩაიდენს.

დარწმუნებული ვართ, ამგვარი ფაქტებით ყველაზე მეტად სამეგრელოს მოსახლეობაა შეწუხებული, რადგან ილახება მათი ავტორიტეტი. ცნობილია ისიც, რომ სამეგრელოში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულმა ნეგატიურმა ძალებმა და უცხო ერების წარმომადგენლებმა, რომელნიც თავისი უღირსი ქცევით სახელს უტეხენ ამ მხარეს.

გვჯერა, თვით სამეგრელოს მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში და ბოროტმოქმედების აღკვეთაში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია გამოთქვამს ჩვენი მორწმუნე ერის დიდ წუხილს მომხდარი ამბების გამო და გმობს ამ უმსგავსო მოქმედებას. დამნაშავეთ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი გარდაუვალად აგებენ პასუხს ღვთისა და ერის წინაშე.

ამავე დროს ჩვენ მივმართავთ სახელმწიფო საბჭოს, რათა, მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, პრობლემათა გადაწყვეტისას კვლავ უპირატესობა მხარეთა შორის მოლაპარაკებასა და სხვა მშვიდობიან ფორმებს მიანიჭონ.

გვჯერა, ღვთის წყალობით კეთილგონიერება გაიმარჯვებს და მშვიდობა დაისადგურებს ჩვენს გულებში, ჩვენს ქვეყანაში.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

ბარბაროსული აქტი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა კაბინეტის

განცხადება

13 აგვისტოს სოფელ ავნევთან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების თანამშრომლების მანქანას თავს დაესხა შეიარაღებული ჯგუფი. ბანდიტებმა სასტიკი წამების შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს შინაგანი ჯარების 6 თანამშრომელი და 1 ადგილობრივი მცხოვრები. ეს ბარბაროსული აქტი მიმართულია შერიგებისა და მშვიდობის წინააღმდეგ. ექსტრემისტები ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, დაარღვიონ მშვიდობიანი თანაცხოვრების დაწყებული პროცესი. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მთავრობა აღშფოთებას გამოთქვამენ ამ ბარბაროსულ აქტთან დაკავშირებით და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

რუსეთის ხელმძღვანელობასთან ერთად მიღებულია ზომები დამნაშავეთა შესაპყრობად და დასასჯელად.

მიღებული ზომებისა და შედეგების შესახებ საზოგადოება ინფორმირებული იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი;

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რუსეთის ჯარები ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს აფხაზურ კონფლიქტში

თბილისი, 14 აგვისტო (იტარ-ტასის კორ.) ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი პატრიკეევმა დღეს კატეგორიულად უარყო საქართველოში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარები ეხმარებიან აფხაზეთში შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთაგან ერთ-ერთს.

„ჯარები ჩვეულებრივი განრიგის მიხედვით ცხოვრობენ, — უთხრა მან იტარ-ტასის კორესპონდენტს. — ჩვენ ვინარჩუნებთ მკაცრ ნეიტრალიტეტს აფხაზეთის ამბების მიმართ. არც ერთ მხარეს არ მოუმართავს ოლქის ჯარების სარდლობისათვის თხოვნით, გაგვეწია რაიმე დახმარება ან მხარდაჭერა, ვინაიდან კარგად იციან ჩვენი მტკიცე პოზიცია — ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა".

მოსკოვი, 14 აგვისტო (იტარ-ტასის კორ.). იგივე ინფორმაცია დაუდასტურეს იტარ-ტასის კორესპონდენტს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ცენტრალურ სამეთაურო პუნქტში.

რეისი გახსნეს თბილისელებმა

რიგა. 14 აგვისტო. (საქინფორმის საკ. კორ.). დღეს შუადღისას ლატვიის დედაქალაქის აეროპორტში დაეშვა ტუ-154 თვითმფრინავი, რომლის ქიმზე წარწერილია „ორბი". ასე დაიწყო რეგულარული რეისები თბილისსა და რიგას შორის — რიგრიგობით, კვირაში ერთხელ მათ განახორციელებენ ლატვიელი და ქართველი ავიატორები.

ახალი რეისის პირველი მგზავრები არიან ისინი, ვინც მონაწილეობს იურმალაში ქართველ მხატვართა დეკადასა და საქართველოს ღვინოების გამოფენა-დეგუსტაციაში, რომლებიც ეწყობა ლატვია-საქართველოს საქმიანი თანამშრომლობის ასოციაციის „ლიგო-ლილეს", ფირმა „რას" და კომერციული ცენტრის „სერვისის" ხელშეწყობით, აგრეთვე ბიზნესმენები, მეღვინეები, რომლებიც ბალტიის კურორტებზე ისვენებენ.

საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს აეროპორტში გულთბილად დახვდნენ ავიაკომპანია „ლატვიის ავიალინიის" წარმომადგენლები, ლატვიის ქართველთა საზოგადოების წევრები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ორი საათის შემდეგ საჰაერო ლაინერმა ბალტიის ქვეყნების მგზავრებითურთ კურსი საქართველოს დედაქალაქისაკენ აიღო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური ჩვენი არსობისა

(დასასრული)

და მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაც. აღვნიშნავთ, რომ სამივე ეს ნივთიერება ახალ სელექციურ ჯიშებთან ერთად შეადგენდნენ მეურნეობაში „მწვანე რევოლუციის“ საფუძველს, რომელსაც დიდი იმედით შეჰყურებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, 1984 წლიდან დაიწყო მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების შემცირება მთლიანად მსოფლიოში და მის ყველა ცალკეულ რეგიონში. თვით ჩინეთში მარცვლეულის წარმოების მკვეთრმა მომატებამაც კი ვერ მოახდინა რაიმე დადებითი გავლენა (თუმცა 1988 წლის გვალვამ ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩინეთში მარცვლეულის მოსავალი მსოფლიოში თითქმის 10 პროცენტით შეამცირა). მოსავლის ასეთმა არნახულმა შემცირებამ შეწყვიტა წარმოების თითქმის ორმოცწლიანი განუხრელი ზრდა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მოსალოდნელი და საიმედო ეკონომიკური ტენდენცია იყო მთელ მსოფლიოში.

იმისთვის, რომ მარცვლეულთან დაკავშირებული ვითარება მსოფლიოში არ გაუარესდეს, მისი მოსავალი დედამიწაზე ამ საუკუნის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რათა უზრუნველვყოთ ერთ სულ მოსახლეზე მარცვლეულის მინიმალური ოდენობის — 180 კილოგრამის წარმოება. ამასთან, როგორც ეს ცნობილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მიაჩნიათ, აუცილებელია მარცვლეულზე სტაბილური ფასების შენარჩუნება. სულ ამ მიზნებისთვის საჭირო იქნება მსოფლიო წარმოების 200-210 მილიონი ტონით, ანუ დაახლოებით იმდენით გაზრდა, რამდენიც 1990 წელს ყოფილ სსრკ-ში დამზადდა. ეს კი ფრიად ძნელი ამოცანაა არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამ მიზეზით სპეციალისტები წინასწარმეტყველებენ მარცვლეულის პრობლემის კიდევ უფრო გართულებას და გაძვირებას. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, უახლოეს 2-3 წელიწადში მარცვლეულის ფასი სულ ცოტა გაორმაგდება მაინც. მდგომარეობას ართულებს ორი გარემოება. პირველი ის არის, რომ განვითარებულ ქვეყნებში გრძელდება „დემოგრაფიული აფეთქება“, რის გამოც მოსახლეობის ყოველწლიური მატება ამჟამად 91 მილიონზე მეტია, ნაცვლად 70-იანი წლების 70 მილიონისა. მეორეა მიწების გაღარიბება-დეგრადაცია, მტკნარი წყლების შემცირება და სხვა. ამასთან მატულობს ამინდის პირობების მკვეთრი ცვალებადობა, ძლიერდება „სათბურის ეფექტის“ ზემოქმედება. ზემოაღნიშნულის გამო სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს სპეციალისტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო მასშტაბით XX საუკუნის დარჩენილ პერიოდში სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა გაცილებით უფრო ადვილი იქნება, ვიდრე სასურსათო უშიშროებისა. ისმის კითხვა, უნდა ვითვალისწინებდეთ თუ არა ყოველივე ზემოაღნიშნულს? ამ ორი-სამი წლის წინ ჩვენ ვწერდით დღევანდელი სიტუაციის მოსალოდნელობაზე, ყველა გარემოების გათვალისწინებით მარცვლეულის კრიზისის შედეგები საქართველოსათვის უფრო მძიმე აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ შარშან შეგვექმნა სერიოზული პრობლემები რესპუბლიკის მოსახლეობის პურითა და პურპროდუქტებით რიტმულ გარანტირებულ უზრუნველყოფაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1992 წლის 1 იანვრისთვის რესპუბლიკაში მარცვლეულის და ფქვილის გარდამავალი ნაშთი ერთი თვითაც კი ვერ უზრუნველყოფდა ნორმალურად მოსახლეობას. რესპუბლიკის მთავრობის გულმოდგინება რომ არა, შიმშილი გარდაუვალი იყო.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე. მარცვლეულის წარმოებაში დაშვებული ჩამორჩენის, ძირითადად დაბალი მოსავლიანობის გამო მიმდინარე წელს საკუთარი წარმოების მარცვლის დამზადება 5-6 პროცენტით თუ უზრუნველყოფს მასზე მოთხოვნილებას.

შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მარცვლეულის მსოფლიო მეურნეობაში მოსალოდნელი ცვლილებები და ყველაფერი ვიღონოთ რესპუბლიკაში მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის მინიმალურად აუცილებელი დონის მისაღწევად. არ შეიძლება სერიოზული მეცნიერული დასაბუთების გარეშე ზერელედ მივუდგეთ ამ პრობლემას. დიდ ილიას, მარცვლეულზე როცა მსჯელობდა, სხვათა შორის, სულ სხვა გარემოება ჰქონდა მხედველობაში. საკუთარი პურის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ დაწერა კიდეც „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს“.

ახლა კი მოკლედ შევეხოთ მარცვლეულის წარმოების საკითხს საქართველოში.

უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკამ, იმყოფებოდა რა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემადგენლობაში, ვერ შეძლო ისეთი დამოუკიდებელი სამეურნეო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფდა უწინარესად საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის განვითარებას, კერძოდ კი მარცვლეულის მეურნეობისთვის მკვიდრი ბაზის შექმნას. პირიქით, ე. წ. საკავშირო სპეციალიზაციის დარგებზე მთელი ყურადღების გადატანამ მნიშვნელოვნად შეზღუდა „ადგილობრივი მნიშვნელობის“ დარგთა და კულტურათა, მათ შორის მარცვლეულით, მზესუმზირათი, შაქრის ჭარხლით და სხვა სასურსათო პროდუქტებით ჩვენი მოსახლეობის უზრუნველყოფა, და რესპუბლიკა პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული გახადა „საერთო-საკავშირო“ რესურსებზე. ამჟამად რესპუბლიკაში როგორც სასურსათო, ისე საფურაჟე მარცვალზე, შაქარსა და მცენარეულ ზეთზე მთელი მოთხოვნილება პრაქტიკულად გარედან შემოტანილი რესურსებით კმაყოფილდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გვაქვს პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის შეუსაბამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ვერ უპასუხებს მოსახლეობის სურსათით, მათ შორის პურითა და პურპროდუქტებით უზრუნველყოფის ამოცანას.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩაისა და ბაღ-ვენახების ფართობები მარცვლეულის წარმოების გაზრდის მიზნით დაუსაბუთებლად შემცირდეს. მათი ფართობი უნდა დარჩეს იმ ოპტიმალურ ოდენობამდე, რომლის მოვლის შესაძლებლობაც გვაქვს. დაუშვებელია ვეგუებოდეთ ხილის უაღრესად დაბალ მოსავლიანობას, მოუვლელ ბაღებს. ასევე ითქმის ვენახებზეც, ციტრუსის ბაღებზეც. სრულიად სხვაა ჩაის კულტურა. ვიდრემდე არის შესაძლებლობა ვასაღებდეთ ჩვენს ისედაც საშუალო ღირსების ჩაის, ალბათ, მკვეთრად არ უნდა შემცირდეს მისი წარმოება. მაგრამ როცა მწვავედ დადგება ხარისხის პრობლემა, შესაძლოა საჭირო გახდეს ფართობის შემცირებაც და წარმოების შეკვეცაც. მით უმეტეს, რომ საკმაოდ გვაქვს დაკნინებული, ამორტიზებული პლანტაციები. ამასთან ვალდებული ვართ ვითვალისწინებდეთ ჩაისა და ვაზის მოვლის შრომატევადობასაც, სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ამერიკის შეერთებულ შტატებს სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების წარმოების გაცილებით უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე ჩვენ, მაგრამ იქ სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხოველეობის ნაწილს 60-62 პროცენტი უკავია. ეს ნიშნავს, რომ მემცენარეობის ძირითადი დანიშნულებაა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და ასეც არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი რაოდენობით იწარმოება ცილებით მდიდარი სოიო, სორგო, სიმინდი. მაგრამ იქ არ მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ არ ავითარებენ დიდი მასშტაბებით მეციტრუსეობასა და სუბტროპიკულ მებაღეობას, სხვა შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი კულტურების წარმოებას. თუმცა მეცხოველეობა იქ დარგის გამძღოლის მაღალი კულტურის წყალობით დიდად შემოსავლიანია. ზემოაღნიშნულ გარემოებათა შესაბამისად, რესპუბლიკის მოსახლეობის გარანტირებული სასურსათო უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში საჭირო ცვლილებების შეტანა აუცილებელია, რაც უპირველესად გულისხმობს არსებითს ცვლილებებს ნათესი ფართობების სტრუქტურაში, კერძოდ მარცვლეულის, შაქრის ჭარხლისა და ზეთოვანი კულტურების ხვედრითი წილის გაზრდას, რაც უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს. უფრო შორეულ პერსპექტივაში აუცილებელი იქნება საქართველოში მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება ფერდობებზე, ტერასული მიწათმოქმედების დანერგვა, რაც ეროზიული პროცესების მინიმუმამდე შემცირებისა და ბარში მარცვლეულის, ზეთოვანი და სხვა სასურსათო კულტურების წარმოების გაზრდის საშუალებას მოგვცემს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ საქართველოს რესპუბლიკამ საკუთარი მარცვლეულით სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. მაგრამ ის, რომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მარცვლეულის აუცილებელი (გარანტირებული) მინიმუმი, არ უნდა იწვევდეს გაოცებას, არ უნდა ვაკეთებდეთ მცდარ გაანგარიშებებსა და დასკვნებს. დიახ, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მარცვლეულის თუნდაც მინიმუმი, ანუ ჯერ 1,2, ხოლო შემდეგ 1,8 მილიონი ტონა, ხოლო დანარჩენი ერთი მილიონი ტონა მაინც უნდა შევისყიდოთ და შემოვიტანოთ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან ვალუტით. ხოლო იმაზე, თუ რა სიძნელეებთან იქნება ეს დაკავშირებული, გაჭირდება თუ არა მარცვლის შოვნა და რაა მოსალოდნელი ამ მხრივ მომავალში, ნაწილობრივ გავეცით კიდეც პასუხი. აღარას ვამბობთ იმ აბსურდებზე, რაც მილიონი ტონა ციტრუსის, მილიონ 150 ათასი ტონა ხილის, ალბათ ამდენივე თუ კიდევაც მეტი ოდენობის არა, ყურძნის წარმოებაში გამოიხატება და ა. შ. ერთი რამაც გვინდა ვთქვათ. რაკი ამდენ დოლარს მოგვცემს მრავალწლოვანი ნარგავები, მაშინ აღარ იქნება საჭირო ბამბის. შაქრის ჭარხლის (თამბაქოს), აგრეთვე ხორცის, რძის და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოება. ამდენად დაგვრჩება კიდეც ფართობები და ალბათ ნაწილს მაინც დავტოვებთ დაუმუშავებლად, საზღვარგარეთიდან კი შემოვიტანთ ჩვენთვის საჭირო სასურსათო პროდუქტებს, თანაც — მაღალხარისხოვანს... ასე და ამრიგად, ჩვენ ჩვენი ვთქვათ და ვწეროთ, მსოფლიოში კი რაც გინდა ის მოხდეს, ბოლოს და ბოლოს ვალუტით რას არ ვიშოვით —აი, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ ამას წინათ გამოქვეყნებული ერთი ფრიად მოზრდილი წერილის დედააარსი. ვერ ვიტყვით, რომ გაზეთს უჭირს მასალები და ამიტომ დაიბეჭდა ეს სტატია, მაგრამ მას მეცნიერი კონსულტანტები რომ აშკარად აკლია, ეს იგრძნობა..

როგორც ადრე აღვნიშნავდით, საქართველოს რესპუბლიკაში რეალურად არის იმის შესაძლებლობა, რომ მარცვლეულისთვის გამოიყოს 400-450 ათასი ჰექტარი მიწა. მაშინ, სამწუხაროდ, ეს ნაკლებ შესაძლებლად მიაჩნდათ. პირიქით, მაშინდელი მთავრობისა და აგრომრეწვის ზოგიერთი ხელმძღვანელი ილაშქრებდნენ კიდეც ამის წინააღმდეგ. არადა, მხარდაჭერა რომ ყოფილიყო, ახლა უკვე გვექნებოდა კარგად შეწონასწორებული მიზნობრივი პროგრამა და მისი განხორციელების პირველი შედეგებიც. თუმცა ამ წინადადებას არც ახლა უჭერს მხარს ზოგიერთი მეცნიერი თუ სპეციალისტი.

აღნიშნული მიწის ფართობი ის რაოდენობაა, რომელმაც რაციონალურად გამოყენების პირობებში (ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემა, მაღალმოსავლიანი ჯიშების თესლეულის გამოყენება, ნათესი ფართობის რაციონალური სტრუქტურა და სხვა) უახლოეს ორ წელიწადში უნდა მოგვცეს 1,2, ხოლო 1995-1996 წლებში 1,7-1,8 მილიონი ტონა მარცვლეული. ბუნებრივია 3-4 წელიწადში მარცვლეულის ამ მოცულობამდე გაზრდა ყოველმხრივ დაბალანსებული მიზნობრივი პროგრამის დამუშავებას და მიღებას მოითხოვს. სოფლად თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ახალი საწარმოო-ეკონომიკური პირობების და საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით, აგრარული რეფორმის მოთხოვნილებათა სრული შესაბამისობით. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურასა და სპეციალიზაციაში აუცილებელი კორექტივებისა შეტანის გათვალისწინებით სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დამუშავებას. მის საფუძველზე კი უნდა შედგეს ცალკეული მიზნობრივი პროგრამები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევუქმნათ მტკიცე საფუძველი რესპუბლიკის სასურსათო უზრუნველყოფას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

14 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე განიხილეს პოლიტიკური ორგანიზაციების — საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგის, საქართველოს აგრარული კავშირისა და სრულიად საქართველოს აჭარის ალორძინების კავშირის განცხადებები. ისინი ითხოვენ ბლოკ „მშვიდობაში“ გაერთიანებას, რომელიც რეგისტრაციაში გატარებულია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ეს პოლიტიკური ორგანიზაციები ბლოკ „მშვიდობაში“ გაერთიანა.

სხდომაზე მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების შესახებ.

მიიღეს აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის სტრუქტურა და რეგლამენტი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა საკითხი ოთხ საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის გადავადების შესახებ. ესენია ქალაქ ცხინვალის, ჯავის რაიონის, ქალაქ ტყვარჩელისა და გუდაუთის რაიონის საარჩევნო ოლქები.

◆

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

№ 34 ჯავის, № 42 ცხინვალის, № 74 გუდაუთის და № 78 ტყვარჩელის საარჩევნო ოლქებში საარჩევნო კომისიების შექმნის და ამით გამოწვეულ სხვა საარჩევნო ღონისძიებათა გადავადების შესახებ

დროებით გადაიწიოს საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნისა და ამ კომისიებში დასანიშნი კანდიდატურების წარდგენის ვადები. № 34 ჯავის, № 42 ცხინვალის, № 74 გუდაუთის და № 78 ტყვარჩელის საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მერაბ ალექსიძე
კომისიის მდივანი
ნუგზარ სხირტლაძე

მუდმივმოქმედი საინფორმაციო ლექტორიუმი

პრივატიზაცია — გადარჩენის გზა

უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა დღეს საქართველოში, ხალხიც და სახელმწიფოც გაღატაკებულია. მოშლილია ცხოვრების ყველა სფერო. ქვეყანა დაქცევის პირზეა მისული, და თუ სწრაფად არ განვკერძოვეთ და პატრონი არ მივუჩინეთ ყველაფერს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ერთადერთი გამოსავალია ეკონომიკის გამოცოცხლება. ეს კი შეუძლებელია, თუ არ განვითარდა კერძო ბიზნესი, არ განხორციელდა პრივატიზაცია, — ითქვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრთან არსებული სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა საინფორმაციო მუდმივმოქმედ ლექტორიუმზე. იგი 13 აგვისტოს გაიმართა. ლექტორიუმის მსმენელებს შეხვედრა ჰქონდათ სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან **ვალერიან ადვაძესთან.**

— საზოგადოების 95 პროცენტს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ვალერიან ადვაძემ — გაცნობიერებული არა აქვს იმ კატასტროფის მასშტაბი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს პრივატიზაციის გაჭიანურებას. ყოველი დღე, ყოველი წუთი ძვირფასია. სხვა საკითხია, როგორ გავატაროთ პრივატიზაცია. კომიტეტში დავამუშავეთ მისი განხორციელების დებულებები და პროგრამა, რომლებსაც მალე განიხილავს სახელმწიფო საბჭო და გავაცნობთ მოსახლეობას.

შემდეგ ვალერიან ადვაძემ უპასუხა მსმენელთა მრავალ კითხვას.

ლექტორიუმზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე პოლიტიკის და რესპუბლიკაში დღეს არსებული უმძიმესი კრიმინოგენული ვითარების შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი თენგიზ გორდელაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის უფროსი ვალერიან გოგოლაშვილი.

ნინო თათრულაძე.

სოხუმი, 14 აგვისტო

14 აგვისტოს დილის 11 საათისათვის დანიშნული აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა არ გამართულა. დღის წესრიგი, რომელიც 20 პუნქტისაგან შედგებოდა, დაძაბულ მუშაობას პირდებოდა დეპუტატებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, არ ყოფილან მათი კოლეგები საპარლამენტო ფრაქციის— „დემოკრატიული აფხაზეთისაგან“. მაგრამ დღის წესრიგის განხილვას აქ მაინც არ შესდგომიან.

ამავე შენობაში, ერთი სართულით ზემოთ კი უზენაესი საბჭო განიხილავდა აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას წუხელ გალის, შემდეგ კი ოჩამჩირის რაიონებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ქვედანაყოფების შესვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ დროს პარლამენტში გავრცელდა ხმა, ეს ქვედანაყოფები უკვე სოხუმში შემოვიდნენო. პარლამენტის დაცვამ მაშინვე დაიკავა თავდაცვითი პოზიციები.

ქალაქში დაიწყო პანიკა. ცაში გამოჩნდნენ ვერტმფრენები და სამხედრო თვითმფრინავები, რომელთა ფრენის მიზანი ყველასათვის გაუგებელი დარჩა. დაცარიელდა ქალაქის ქუჩები, ბაზრები, მაღაზიები. დაახლოებით დღის სამი საათი იქნებოდა, როცა ეთერში გავიდა აფხაზეთის ტელევიზია. გადაიცა აფხაზეთის მთავრობის საგანგებო ცნობა. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარები ათასი კაცის შემადგენლობით ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით დაიძრნენ სოხუმისაკენ. როგორც დიქტორი იუწყებოდა ამის მიზეზი გახდა ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიერ მძევლად აყვანილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განთავისუფლების განზრახვა. სინამდვილეში კი, ამტკიცებდა დიქტორი, გალის რაიონის ტერიტორიაზე მძევლები არ არიან და არც ყოფილანო.

გაუგებარია როგორ ესატყვისება აფხაზეთის ტელევიზიის ეს მტკიცება აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ა. ანქვაბის ინტერვიუს, რომელიც ამბობდა, რომ ორი დღის განმავლობაში გალის რაიონის სოფელ კოხორაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ტერორისტებთან მძევლების განთავისუფლების შესახებ და უშუალოდ შეხვდა კიდეც ზოგიერთ მათგანს.

გაუგებარია ისიც, თუ ვის ეომება ქალაქ სოხუმში აფხაზეთის გვარდია. საქმე ის არის, რომ სოხუმში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების ხსენებაც კი არ არის. ინტენსიური სროლა მიმდინარეობს წითელი ხიდისა და ტურბაზის რაიონში. სწორედ ეს გახდა იმის საბაბი, რომ აფხაზეთის მთავრობას გამოეცხადებინა სამხედრო წესები, ხოლო აფხაზეთის უზენაეს საბჭოს — ავტონომიური რესპუბლიკის 18-დან 40 წლამდე მცხოვრებთა მობილიზაცია.

ამასობაში კი ქალაქში გრძელდება პანიკა. ერთიმეორეზე დაუჯერებელი ხმები ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობაზე.

სხვათა შორის, სესიის სხდომის გახსნის მოლოდინში, აფხაზეთის პარლამენტში გავრცელდა ხმა, „ჩვენები ტურბაზა „ცხუმს“ დაესხნენო“. ამ ტურბაზაში უკვე კარგა ხანია დაბანაკებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების სოხუმის პირველი მექანიზებული ბატალიონი მაიორ ახალაიას მეთაურობით.

არსებითად, სწორედ ამით დაიწყო სოხუმში საქართველოსათვის ჯერჯერობით გამოუცხადებელი ომი.

აფხაზეთის ტელევიზია ნახევარსაათიან — საათიანი ინტერვალებით რეგულარულად გამოდის ეთერში საგანგებო ცნობებით ქალაქში საომარ მოქმედებათა შესახებ, გადასცემს რეპორტაჟებს სროლის ადგილებიდან. ტელევიზიამ გადასცა აგრეთვე ცნობა იმის თაობაზე, რომ ოჩამჩირის რაიონში მძევლად აუყვანიათ...

ამ მომენტში სატელეფონო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტთან მოულოდნელად შეწყდა. ეს მოხდა 17 საათსა და 26 წუთზე. ყველა ცდა, დავკავშირებოდით კორესპონდენტს ამაო აღმოჩნდა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და დანახარჯების დაფარვის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების მიერ შემუშავებული რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და დანახარჯების დაფარვის დროებითი დებულება. (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც თავიანთ ბალანსზე აქვთ საბინაო ფონდი:

— მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილებით და ამ დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებით;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოქალაქეებისთვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) უსასყიდლოდ გადაცემას, ამასთან ფართო ახსნა-განმარტებითი და სააგიტაციო მუშაობა გასწიონ ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

3. უფლება მიეცეთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ამ დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დებულების დამტკიცების შემდეგ საკუთრების უფლებით მიჰყიდონ მოქალაქეებს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ახლად აშენებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების ბინების ნაწილი, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინები, მათ შორის აუქციონის წესით.

უსასყიდლოდ ბინები მიეცემათ მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირებს, აგრეთვე იმ მოქალაქეებს, რომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ორ თვეში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მოქალაქეთა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
თ. სიგუა.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი
ჯ. გელაშვილი.

თბილისი, 1992 წლის 11 აგვისტო

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და გაწეული დანახარჯების დაფარვის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესაბამისად და ძირითადად განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) მოქალაქეთათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის, მათი მოვლა-შენახვის და რემონტის ღირებულების ანაზღაურების წესებს.

2. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მათ ბალანსზე რიცხული საბინაო ფონდიდან საკუთრების უფლებით უსასყიდლოდ გადასცენ მოქალაქეებს სურვილისამებრ მათ მიერ დაკავებული ბინები (საცხოვრებელი სახლები) საერთო და საცხოვრებელი ფართობის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის: ავარიული და სარეკონსტრუქციო, სადაც მოქალაქენი თავიანთ ხარჯზე შეასრულებენ ავარიულობის სალიკვიდაციო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

პრივატიზებას ექვემდებარება აგრეთვე კეთილმოუწყობელი ბინები, რომლებსაც საერთო სარგებლობის დამხმარე სათავსები (სამზარეულო, სანიტარიული კვანძები, დერეფანი, აივანი და სხვა) აქვს მათი საერთო სარგებლობაში დატოვების პირობით.

3. მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახში ყველა ერთად მცხოვრებ სრულწლოვან წევრთა თანხმობით.

4. მოქალაქეები, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის № 311 და 1990 წლის 25 იანვრის № 35 დადგენილებების საფუძველზე საკუთრების უფლებით შეისყიდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები (საცხოვრებელი სახლები) და არ დაუფარავთ მათი მთლიანი ღირებულება, თავისუფლდებიან დავალიანების დაფარვისგან და დაკავებული ბინები (საცხოვრებელი სახლები) გადაეცემათ საკუთრებაში.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებისთვის (ბინებისთვის) მოქალაქეების ხარჯზე მიშენებული (დაშენებული) საცხოვრებელი ოთახები და დამხმარე სათავსები გადაეცემათ მათ საკუთრებაში ბინების (საცხოვრებელი სახლების) საკუთრებაში გადაცემასთან ერთად.

მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცემათ აგრეთვე სამეურნეო დანიშნულებით მათთვის განკუთვნილი სარდაფები, სხვენები, ფარდულები, ტერასები და შემოქმედებითი სახელოსნოები.

6. მოქალაქეებს, რომლებსაც გადაეცათ საკუთრების უფლებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები (საცხოვრებელი სახლები), შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ისინი: გაყიდონ, გასცენ იჯარით, გააქირაონ, გაჩუქონ, ანდერძით გადასცენ ან მოახდინონ სხვა გარიგებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს; მათ შორის უფლება აქვთ საკუთრებით უფლებით მიღებული ბინა, საცხოვრებელი სახლი ან მათი ნაწილი გაცვალონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ, აგრეთვე კოოპერაციულ საბინაო ფონდის ბინაზე, საცხოვრებელ სახლზე ან მის ნაწილზე, აგრეთვე სხვა მესაკუთრის ბინაზე, საცხოვრებელ სახლზე ან მის ნაწილზე.

7. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოქალაქე (მესაკუთრეები) ითვლებიან ამ სახლების საინჟინრო მოწყობილობის და საერთო სარგებლობის ადგილების თანამესაკუთრეებად, დაკავებული ფართობის პროპორციულად.

8. ბინა, რომელიც დამქირავებლის უფლებით დაკავებული აქვს რამდენიმე მოქალაქეს, შეიძლება გადაეცეთ მათ საკუთრებაში ყველა დამქირავებლის თანხმობით.

9. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები და საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც მათი დამქირავებლები ან დამქირავებლების ოჯახის წევრები არიან.

10. მოქალაქეები, რომლებსაც სურთ საკუთრების უფლებით მიიღონ უსასყიდლოდ მათ მიერ დაკავებული ბინები, საცხოვრებელი სახლები, განცხადებით მიმართავენ ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს, საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს (საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურებს), საწარმო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება ან გამგებლობაშია საბინაო ფონდი.

11. პრივატიზაციას არ ექვემდებარება:

— სამსახურებრივი დანიშნულების ბინა;

— ბინა საერთო საცხოვრებელში;

— დროებითი და ბარაკის ტიპის საცხოვრებელი სახლები (ბინები) და რონოდები მათში მცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად.

12. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების მიერ იჯარით გაცემული (გაქირავებული) ცალკე მდგომი შენობები ან საცხოვრებელ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართობი რჩება ამ ორგანიზაციების გამგებლობაში, რომლებიც მათი გაქირავებით მიღებულ თანხას პრივატიზებული სახლების ძირითადი კონსტრუქციების სარემონტო სამუშაოების და საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად მოიხმარენ.

13. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძირითადი კონსტრუქციების (სახურავები, საძირკვლები, მზიდი კედლები, სართულშუა გადახურვები, საერთო სარგებლობის შიდასაინჟინრო კომუნიკაციები, ფასადი და სხვა) შერჩევით კაპიტალურ რემონტს საცხოვრებელი ფონდის საბაზრო ფორმირების გარდამავალ პერიოდში ეწევიან კუთვნილებისამებრ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები (საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურები) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დოტაციის, ხოლო საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები, საკუთარი შემოსავლის ხარჯზე.

14. ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის, ბინის მოქალაქის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ იდება კუთვნილებისამებრ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის; საწარმო-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

ადგილობრივი მმართველობის ორგანო, საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია ბრძანებით (განკარგულებით, გადაწყვეტილებით, დადგენილებით) აძლევს სათანადო რწმუნებას თავის წარმომადგენლებს გააფორმონ ეს ხელშეკრულებანი.

15. ბინის, საცხოვრებელი სახლის მოქალაქისთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან, რისთვისაც მოქალაქემ დადასტურებული ხელშეკრულების სამი ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს ადგილობრივი ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია ხუთი დღის ვადაში შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საინვენტარიზაციო მასალებში (დოკუმენტაციაში) და რეგისტრირებული ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი დაუბრუნოს მოქალაქეს, აქედან ერთ ეგზემპლარს მოქალაქე აბარებს შესაბამის საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციას.

ბინის, საცხოვრებელი სახლის მოქალაქისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

ბინის ან საცხოვრებელი სახლის პრივატიზებისთვის გასაცემი დოკუმენტების მომზადებისთვის მოქალაქე უხდის: საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციას 25 მანეთს, ხოლო მისი რეგისტრაციაში გატარებისა და საინვენტარიზაციო მასალებში ასახვისათვის ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციას — 23 მანეთს.

16. ბინის, საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღებისათვის მოქალაქემ წინასწარ უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი დაკავებული ფართობის ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების (წყალსადენ-კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, ცხელი წყალი, ელექტროენერგია და გაზი) გადასახადთა ორი წლის ოდენობით, ამასთან, მასზე არ უნდა ირიცხებოდეს გასული პერიოდის ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადების დავალიანება.

17. სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

18. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის (მათ შორის კოოპერატივ „ბინმშენის“) წევრი, რომელმაც მთლიანად გადაიხადა დაკავებული ბინის (სახლის) მთლიანი ღირებულება, იძენს ბინაზე (საცხოვრებელ სახლზე) საკუთრების უფლებას; იდება ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს (მეპაიეს) და გამგეობას შორის, რაც დასტურდება სანოტარო წესით, რისთვისაც მოქალაქე იხდის სახელმწიფო ბაჟს დაკავებულ ბინაზე 50 მანეთის ოდენობით. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ამ დებულების მე-17 პუნქტში ჩამოთვლილი პირები.

აღნიშნული ვრცელდება იმ მართლურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიქმნა როგორც 1992 წლის 1 თებერვლის შემდეგ, ისე მანამდე (თუ 1992 წლის 1 თებერვლამდე მოქმედი საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად სხვა გადაწყვეტილება კოოპერატიული ბინის განაწილების შესახებ მიღებული არ ყოფილა).

19. ბინის (საცხოვრებელი სახლის) მოქალაქის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით.

20. საბინაო მეურნეობის საბაზრო ფორმირების გარდამავალ პერიოდში პრივატიზებული ბინების მესაკუთრეები საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მომსახურებისა და კომუნალური მომსახურების გადასახადებს ფარავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის დამქირავებლებისთვის დაწესებული მოქმედი ტარიფებით, განაკვეთებით და პირობების დაცვით.

21. მესაკუთრეს ევალება საჭიროების მიხედვით თავისი ხარჯით გააკეთოს ბინის შიდა რემონტი, აგრეთვე შიდასაინჟინრო კომუნიკაციების მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სარემონტო სამუშაოები, შეცვალოს ახლით ბინაში დადგმული და მწყობრიდან გამოსული საოჯახო გაზქურა (ელექტროქურა), წყალგამცხელებელი და სხვა.

22. საცხოვრებელი სახლების კიბის უჯრისა და სახლმფლობელობის ტერიტორიის განათებაზე, აგრეთვე ლიფტების ექსპლოატაციაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი ფართობისთვის დაწესებულ ტარიფებს.

23. პრივატიზებულ საბინაო ფონდში მცხოვრებ მოქალაქეებს უნარჩუნდებათ კომუნალური მომსახურების გადასახადის დაფარვის შეღავათიანი პირობები, თუ ისინი პრივატიზებამდე სარგებლობდნენ ამ უფლებებით.

24. კომუნალური მომსახურების გადასახადისგან 50 პროცენტის ოდენობით თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

25. მოქალაქეებზე გავრცელებული კომუნალური მომსახურების გადასახადების დაფარვის შეღავათიანი პირობების კომპენსაცია ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

26. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების გარეთა საინჟინრო კომუნიკაციები რჩება შესაბამისი კომუნალური საწარმოების ბალანსზე, რომლებიც ეწევიან მათ ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს თავიანთი შემოსავლის ხარჯზე.

27. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ბინების შიდასაინჟინრო კომუნიკაციების (წყალსადენ-კანალიზაციის, ცენტრალური გათბობის, ცენტრალიზებული ცხელი წყალმომარაგების, ელექტროქსელების და მოწყობილობების) ტექნიკური მომსახურების ხარჯებს შესაბამისი კომუნალური საწარმოები უნაზღაურებენ საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებული ჰქონდა ყოფილი საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და ყოველწლიურად განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანება.

სახლის შიგა გაზის მოწყობილობის ტექნიკურ-პროფილაქტიკურ და საავარიო მომსახურებას ეწევიან გაზმიმწოდებელი ორგანიზაციები თავიანთი შემოსავლის ხარჯზე.

28. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ბინებს, როგორც წესი, ტექნიკურად ემსახურებიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები (საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურები) მესაკუთრეებთან ან მესაკუთრეების მიერ შექმნილ საბინაო ამხანაგობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე (დანართი 1 და 2).

შენიშვნა: საბინაო ამხანაგობის შექმნა და მისი უფლება-მოვალეობანი ასახულია ტიპობრივ წესდებაში (დანართი 3)

29. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) მესაკუთრეებს უფლება აქვთ თვითონ შეარჩიონ ის ორგანიზაცია, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას გაუწევს მათ სახლს — სახელმწიფო, საბინაო-საექსპლოატაციო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, კერძო ფირმების, კოოპერატივების და სხვა მეურნეობრივი სუბიექტების ჩათვლით.

30. პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკურ მომსახურებაზე დასაქმებული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები თავისუფლდებიან არამწარმოებლური ხარჯებისაგან (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტმასობრივი, აღმზრდელობითი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებით ამ სფეროს პერსონალის შენახვა, ადმინისტრაციული და სხვა დანიშნულების ტექნიკური და კომუნალური მომსახურება და სხვა).

31. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) აღების დროს მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს მიეცემათ ბინები არსებული ნორმების ფარგლებში სურვილისამებრ საკუთრების ან დამქირავებლის უფლებით, აღებული შენობების (ბინების) ღირებულების აუნაზღაურებლად.

32. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანება ვალდებულია:

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს გაუწიოს მეთოდიკური ხელმძღვანელობა, კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარება საბინაო ფონდის (პრივატიზებული და არაპრივატიზებული) ტექნიკური მომსახურების, ექსპლოატაციისა და რემონტის წარმოების ორგანიზაციის, აგრეთვე მათი ღირებულების გაანგარიშების საკითხები და სხვა.

— გეგმაზომიერად გამოიკვლიოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი, აგრეთვე კოოპერაციული საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობა და დაადგინოს ავარიულობის სალიკვიდაციო გადაუდებელ სარემონტო სამუშაოთა მოცულობა;

— შეიმუშაოს და აამოქმედოს ადგილებზე საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურების, ექსპლუატაციისა და რემონტის წარმოების ორგანიზაციის ერთიანი მართვის სტრუქტურა ამჟამად მოქმედი საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების რეორგანიზაციისა და მართვის ძირეული რგოლების უფლება-მოვალეობათა გამართვის გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

რა გადაარჩენს საქართველოს?

სიტყვა ერის გასაგონად



„გვეშველება რამე?" „დაწყნარდება ქვეყანა?" — ორი ქართველის შეხვედრა ამ შეკითხვით იწყება დღეს.

პოლიტიკურმა ნევროზმა მოიცვა ქვეყანა.

იმპერია დაინგრა. ველიკორუსული დამპყრობლური პოლიტიკა კი დარჩა. რუსეთი (რამდენიმე ხმასუსტი დემოკრატის გამოკლებით) ცდილობს სსრკ-ს „მსოფლიო ფუნქციები" შეითავსოს და ხელიდან არ გაუშვას დაპყრობილი ტერიტორიები. შედარებით გულუბრყვილო „მეკავშირეები" მან „თანამეგობრობის" კაკანათში შეიტყუა. საქართველო კი შორიდან უვლის ხაფანგს და, არაერთგზის ჭკუანასწავლი, ახალ მახე-ძუაში თავის გაყოფას არა და არ აპირებს. რუსეთს კი „თანამეგობრობის" მკლავზე მიძინებული სხვა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე" უფრო საქართველო აწუხებს. ვერ მოუნელებია. ნუთუ საქართველო გაბედავს ჩვენგან — ერთმორწმუნე „კეთილი" რუსეთისაგან წასვლას და მის გასაწიწკნად ჩასაფრებული ჩეჩნურ-ადიღეურ-ლეკურ-ბაცბურ მუსულმანურ ოკეანეში მულტფილმის კურდღელივით შექანებას? — ფიქრობს რუსეთი.

ჩვენი ორასწლოვანი დამპყრობელი ყოველ ღონეს ხმარობს, [illegible] საქართველოს რომ ჭკუა ასწავლოს: ხან სამაჩაბლოში შემოხიზნულ ოსებს აუმხედრებს, ხან აფხაზებს გამოაცხადებინებს საქართველოდან გამოყოფას, ხან გაზს გადაუკეტავს, ხან ეკონომიკურ ბლოკადას მოახვევს თავს. [illegible] მანეთის ზონიდან არ გავიდეს და დამოუკიდებლობანას თამაშიდან მართლა დამოუკიდებლობას არ გამოჰკრას ხელი. არ ეშვება რუსეთი უფროსი ძმის როლის თამაშს, დამრიგებელ-გამზრდელის მისიას ებღაუჭება. თავის მიერვე ინსპირირებულ სამაჩაბლოს კონფლიქტში არამკითხე მამიდასავით ერევა.

საქართველო კი თავის ბედკრულ ისტორიას გაიხსენებს, ძალას მოიკრებს, დასუსტებულ ეროვნულ სხეულს გაიძელქვავებს და იბრძვის: დამოუკიდებლობას გამოაცხადებს, რეფერენდუმს ჩაატარებს, თავისუფალ არჩევნებს მოაწყობს, უკანონო, ბოლშევიკურ ავტონომიას გააუქმებს, ახალამოთავთავებულ დიქტატურას ძირშივე მოაშთობს, შედარებითი დემოკრატიის მანტიას წამოისხამს, მსოფლიოს შებღალადებს — მოგვხედეთ, გაზს გვიკეტავენ, ინტერვენციას გვიწყობენ, გვცანით, დაგვეხმარეთო. მსოფლიო საქართველოსკენ მოიხედავს, მაგრამ ისე მთლიანად არ შემობრუნდება მისკენ, რომ ამით შიმშილით გამძვინვარებულ რუსულ დათვს აწყენინოს. დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის ღრენაში საქართველო თეთრ დათვს „გაეროში" შეასწრებს. და სწორედ მაშინ, როცა საქართველო მსოფლიო ცნობის ზეიმ-ნირვანაშია, რუსეთი იმგვარ სახეს იღებს, როგორსაც კატა, რომელიც დაჭერილი თაგვის თამაშში ზედმეტად გაერთო და თაგვმა სოროში შეასწრო. ადგება და გუდაუთაში კაზაკთა(?) ასეული შეჰყავს. ვითომდა, მე რა შუაში ვარ, კაზაკებს სურვილი გასჩენიათ საწყალი აფხაზები ქართველებისგან დაიცვანო...

საქართველო კი ჭაპან-წყვეტით, წელებზე ფეხის დადგმით და ვაინაჩრობით ნელ-ნელა მიიწევს თავისუფლების ეკლიან გზაზე. დასცემენ, მიწასთან გაასწორებენ, ფენიქსისებრ აღდგება, ძალას მოიკრებს და ისევ წამოიმართება, რათა მტერთა მორიგ იერიშამდე ორი ნაბიჯის გადადგმა მაინც მოასწროს.

ქვეყნის შიგნით დიდი თვისებრივი ძვრები ხდება. სამი წელი დასჭირდა პოლიტიკის ვნებააშლილი ხალხის ნაწილობრივ მაინც დარწმუნებას იმაში, რომ პოლიტიკა იოლი საქმე როდია. პოლიტიკურად გაუცნობიერებელნი დღემდე მისტირიან იმ ქაოსურ დღეებს, სახელმწიფოთა ურთიერთობის ურთულესი საკითხები მიტინგებზე ყალბარტისტული ბრძოლვინვა-ღრიანცელით და ეგზალტირებულ ორატორთა შეყვირებებით რომ წყდებოდა. — აფსუს, რა ცუდ დროს ჩამოგვაცილეს პოლიტიკას, თორემ ჩვენ ავაწყობდით საათივით ამ ქვეყანასო, ფიქრობენ ერთნი.

მეორენი კი, დიქტატორის გაქცევას რომ ფარული სიხარულით შეხვდნენ, თვალს არ ხუჭავენ დღევანდელი „უკანონო ხელისუფლების" ყოველ წაფორხილებაზე და თავიანთ ეჭვს უკვე დაუფარავად გამოხატავენ: — რა დანაიდების ქვევრი აღმოჩნდა საქართველო ასეთი, მის მაღაზიებს მსოფლიოს ეკონომიკური ყურადღება და ჩვენი მთავრობის ყოველდღიური გაცვლა-გარიგებანი რომ ვერ დაეტყო? ესენიც ხომ არ გვატყუებენ წინა მთავრობის მსგავსად? რატომ იგვიანებს ქართული პასპორტი და ქართული ფული? თუ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რატომ იცავს ჩვენს საზღვრებს თურქეთთან თოფიანი რუსი? რატომ ვერ აკონტროლებს ქართველი როკის გვირაბიდან შემოსულს, ახლა უკვე ლეგალურ, ნებადართულ ოსხიზანთა რიგებს? თუ სამაჩაბლო ჩვენი მიწაა, რატომ ვერ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია ცხინვალზე? ხომ არ მოხდა დიდი გარიგება იმის თაობაზე, რომ სამაჩაბლო გეომეტრიული პროგრესით გამრავლებულ ლტოლვილთა მობრუნებით სუფთა ოსურ ეთნიკურ კუთხედ იქცეს და არა მარტო სამწლიანი ომის შედეგები ჩაგვეყაროს წყალში, ცხინვალს შემორკალული ქართული სოფლებიც დაგვკარგოთ? რატომ აჭიანურებს შევარდნაძე ცხინვალში ქართველი მერის დანიშვნას? რა აუხსნელ ლოიალობას იჩენს სახელმწიფო საბჭო გალირფებულ არძინბას მიმართ? ნუთუ შინაგან საქმეთა მინისტრის და მისი მოადგილის უწყალოდ ცემა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დარბევა უპასუხოდ უნდა დარჩენილიყო? აფხაზეთის ხუხამ (უქართველებოდ) გამოაცხადა დამოუკიდებლობა, სახელმწიფო საბჭომ და „დემოკრატიულმა ფრაქციამ" გააუქმეს ეს განაწყვეტილება, მაგრამ, „წერე და იკითხე" არაფერი არ იყოს, ამ გაუქმებით რომ არაფერი შეცვლილა? ისევ რომ ერეკებიან თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველებს სამსახურებიდან აფხაზები და სოხუმში კვლავ გულისმომკვლელად რომ ფრიალებს „დამოუკიდებელი აფხაზეთის" დროშა? ილაპარაკეთ ტელევიზიით, ქართველო პოლიტიკოსებო; სამაჩაბლო ჩვენია, ჩვენი საზღვრები ხელშეუხებელიაო, ბეჭდეთ თბილისში რუკები, რომელზეც გარკვევით იქნება საქართველოს საზღვარში მოქცეული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა". ამასობაში სამაჩაბლო გაივსო ხიზნებით (რომელთაც ერთგულად მიაცილ-მოაცილებენ რუსი ძმები) და აფხაზეთის რესპუბლიკა კი თავის წელთაღრიცხვას იწყებს. სევდიანად გასცქერის ენგურს მომდგარი საქართველოს შინაგანი ჯარი აფხაზ-სეპარატისტებს, რომლებიც ახლა იმით დასცინიან ჩვენს სასაზღვრო ხელშეკრულებას, რომ გუდაუთაში დამცველებად კაზაკი (?!) მოხალისეები შემოიყვანეს, და ბოლოს, რატომ გაიყვანა ჩვენი „ურაზმერი" სახელმწიფო საბჭო ჭეშმარიტი მამულიშვილების გვერდით საეჭვო რეპუტაციის მქონე მოხალისე კარიერისტებით?

ნუთუ შევარდნაძე ამას ვერ ხედავს, ნუთუ ყოვლისშემძლე შევარდნაძეც ვერ გვშველის? — ფიქრობს ძლიერი და გამოცდილი ლიდერის იმედხაბლაუჭებული, პოლიტიკურად ნაკლებ გათვითცნობიერებული მოქალაქე, — და თუ ხედავს, რატომ დაუშალეს სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივს გაფიცვის გაგრძელება, ან აფხაზეთში მცხოვრებ, ძლივს გამოღვიძებულ ქართველებს საყოველთაო დაუმორჩილებლობა? — დასძენს იგი.

გავბედავ და ვიტყვი; განა არა აქვს, ხშირ შემთხვევაში დაეჭვებული ქართველის ურვას რეალური საფუძველი, მაგრამ შეცდომათა წყება იმ დასკვნითი ფრაზიდან იღებს სათავეს, რომელიც იმ ეჭვებს მოჰყვება („რატომ გადამჭრელ ზომებს არ მიმართავს ე. შევარდნაძე?").

მე ვფიქრობ, ე. შევარდნაძემ ამ ხუთიოდე თვეში წარმოუდგენლად მეტი გააკეთა, ვიდრე მას — „უკანონო" სახელმწიფო საბჭოს ნახევრადარჩეულ მეთაურს შეეძლო. ნუთუ ასე ძნელი დასანახია, რომ ჩვენ მსოფლიოს პოლიტიკურ აიწონა-დაიწონაში პატარა კუნძული ვართ და, თუ ჭკუა არ ვიხმარეთ, უთუოდ ჩავიძირებით? რაო, თქვენ გგონიათ, მართლა ძალუძს ე. შევარდნაძეს როკის გვირაბთან უმკაცრესი ქართული კონტროლი დააწესოს? თქვენ გგონიათ, შეუძლია და არ შვრება ე. შევარდნაძე, რუსეთს დაუყოვნებლივ მოსთხოვოს — გათავხედებული კაზაკების გაყვანა გუდაუთიდან? თქვენ გგონიათ, მართლა ძალუძს ე. შევარდნაძეს, დღესვე დააყენოს საკითხი და გაიყვანოს რუსის ჯარი საქართველოდან? თქვენ გგონიათ, იმხელა შეიარაღება აქვს ე. შევარდნაძეს, ჭკუა ასწავლოს საქართველოსკენ მადით მჩირალ ყველა პირზენერწყვმომდგარ გადამთიელს? თქვენ გგონიათ, ისეთ სასწაულმოქმედ ძალას ფლობს ე. შევარდნაძე, რომ კვერთხს დაჰკრავს და ხვალვე დოვლათით გაავსებს ჩვენს დაცარიელებულ საწყობ-მაღაზიებს?

უნდა ამოვიღოთ თავიდან ეს უსაგნო, უსაბუთო ფიქრი-ილუზია, ერთი კაცი, სოლომონ ბრძენიც რომ იყოს, ახლა საქართველოს ვერ უშველის. ჩვენ, ყველანი, უნდა გავერთიანდეთ ქვეყნის გადარჩენის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და განზე განმდგარი, გაბუტული სნობის მანტია მოლაშქრის, მებრძოლის ფარაჯაზე უნდა გავცვალოთ.

იქ, სადაც, ჯერ კიდევ ბობოქრობენ ქალები, რომელთაც ძალუძთ ასაკოვან კაცს შეაფურთხონ და ქვა ესროლონ, იქ, სადაც ყველას თავის გამოჩენა და პირველი ყოჩობა მოსურვებია, იქ, სადაც რამდენიმე კაცი ლამის „ტყუმალზე ზის" პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების შეზღუდული ცოდნით, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სატელევიზიო, გამოსაჩენ ადგილას მოკალათებულა, ესაოდა მეც მარაქაში ვერევიო, იქ, სადაც ყოვლად უსაფუძვლოდ გაუთავებლად ლანძღავენ „მხედრიონს"; იქ, სადაც ყოველ მესამე სხდომაზე თამაშდება გაბუტვა-შერიგების ამბიციური დრამა და სიტყვამოუთოკავი დილეტანტები საათობით ლაპარაკობენ ურთულეს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე, თქვენ გგონიათ, შევარდნაძეს „პირველი ვიოლინოს" სიმები მტკიცედ უპყრია?

არ დაიჯეროთ. ულრესად რთული მსოფლიო პოლიტიკა, ძალთა გადაადგილების მტკივნეული პროცესი, რუსეთის დაუფარავი ინტერესები მისი ყოფილი კოლონიის, კურორტ-საქართველოს მიმართ, იმპერიის ეკონომიკური ობობას ქსელიდან თავის დაღწევის დილემა და „თანამებრძოლთა" ამბიციები თუ შინაომის სისხტიკე — ის საბედისწერო აისბერგებია, საქართველოს ხომალდს წამდაუწუმ რომ ეჯახებიან და მის გამოცდილ კაპიტანს საშუალებას არ აძლევენ შეუმცდარად, შეუფერხებლად მართოს ისტორიის ოკეანეში ლამის უაიალქნოდ შეცურებული ქვეყანა.

თქვენი არ ვიცი და, მე უცრემლოდ ვერ ვუყურებდი, საშველად მოსულ კაცს „იუდას" და „ველის" ძახილით რომ მოაცილებდნენ. შევარდნაძეში ქართველი კაცი მეცოდებოდა საერთოდ. თავის ადრინდელ შეცდომებში დარწმუნებული და მონანიებული ბრძენი კაცი მეცოდებოდა, რომელსაც მართლა სურს ქვეყანა გადაჩეხვისგან იხსნას, მაგრამ ვერგაგებისა და ვერშეცნობის კედელს აწყდება. ამიტომაც მომეწონა ერთი ჟურნალისტის სატელევიზიო პარალელი, ამ ბოლო დროს დიდი კამათისა და განსჯის საგნად რომ იქცა. შევარდნაძისა ახლა, ამ წუთში რომ მჭიროდეს, ამის საბუთს მაძლევს მისი მსოფლიო სახელი, მის მიერ ამ უმოკლეს დროში გაკეთებული და, რაც მთავარია, ის, რომ მსოფლიო ე. შევარდნაძესთან ლაპარაკობს მის ავტორიტეტს სცემენ პატივს. თქვენ გგონიათ, არ იცოდა მან, რომ შეიარაღებული შეტაკების ცხელ კვალზე წალენჯიხაში ჩასვლა სახიფათო იყო? თქვენ გგონიათ, არ იცოდა, რომ გახურებული ომის ვითარებაში ცხინვალში ჩასვლა სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული? თქვენ გგონიათ არ იცოდა, რომ 24 ივნისს ტელევიზიასთან გასვლა შეიძლებოდა სავალალოდ შემობრუნებოდა, მით უმეტეს, რომ დამცემთა მხარეს გადასული რამდენიმე გვარდიელი იქნებ იქვე ახლოს მდგარიყო? იცოდა, მაგრამ არ შეეპუა, თავი არ შეიცოდა, ჯავშან-ჟილეტი როდი ჩაიცვა და კაბინეტში როდი შეიყუჟა, თუმცა სხვაზე არანაკლებ მოეხსენება, რომ საქართველო ის საქართველო აღარ არის, ათი წლის წინათ რომ დატოვა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ ჩვენი სახელმწიფო საბჭოს ამ ზიგზაგებიანი პოლიტიკით სამაჩაბლო და აფხაზეთი დავკარგეთ, მე პირველი არ გამოვალ და არ დავგმობ ჩემს ნააზრევს და ე. შევარდნაძის მთელ პოლიტიკას? პირველი არ დავდგები ე. შევარდნაძის წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე? ვინც ჩემს ბიოგრაფიას ცოტათი მაინც იცნობს, დამერწმუნება, რომ იქნებ ვცდებოდე, იქნებ, ზოგჯერ გაჩუმება და გაცლა ვამჯობინო, მაგრამ შიშით ვერავინ შემაშინებს. მე ზვიად გამსახურდიას პირველმა დავუჭირე მხარი, მაგრამ როცა დავინახე, თუ როგორ აქცია ზურგი მან ერის ინტერესებს და განდიდების მანიამ შეიპყრო, პირველმავე ვუთხარი (და გამოვუქვეყნე), რაც ეკუთვნოდა.

განა სწორი პოლიტიკის, დიდსულოვნების, ერის დაშლილი სხეულის გამთელების ბრწყინვალე ოპერაცია არ იყო 4 აგვისტოს მანიფესტი და ზეიმი? განა ერისა და ბერის ერთსულოვნების გამოხატულება არ იყო იმპროვიზებული ზეიმ-კონცერტი, რომლის მომზადებასაც სხვა ვითარებაში თვეები დასჭირდებოდა, ხოლო ბატონმა ოთარ ლითანიშვილმა სამ დღეში მოაბა თავი და თვითონვე გაუძღვა მშვენივრად, უშუალოდ და დარბაისლურად? განა ჩანდა იმ ღონისძიებაში განდიდების იოტისოდენა სურვილი ან ერის ერთი ნაწილის მეორე ნაწილისთვის დაპირისპირების დემაგოგიური ტენდენცია? ვერ დავმალავ, გული კი დამწყდა გამომსვლელთა შორის ქართველი მწერლის ხმა რომ არ ისმოდა, მაგრამ მწერლობის იგნორირებას (ეს, დამერწმუნეთ, ყველა ფუნქციონერისთვის სავალალო აღმოჩნდება) ვერ და ვერ დავწამებ იმ კაცს, რომელიც ჩამოსვლის მესამე დღესვე მწერალთა კავშირს მოაკითხავს და ქართველ მწერალთა აზრს გულისთქმას დიდი ინტერეს-მონდომებით დაუგდებს ყურს, ხოლო ბოლოს ორსაათიანი საპროგრამო სიტყვით გამოვა.

ე. შევარდნაძეს რომ ქება-ლანძღვა მოუსმენია, ვეჭვობ, სხვა რომელიმე (პოლიტიკურ) მოღვაწეს მოესმინოს თავის თავზე. იგი პირველს არ გაუყოყოჩებია და მეორეს სასოწარკვეთილებაში არ ჩაუგდია. ბრძოლა-კვეთებაში გამოწრთობილი, სამოცს გადაცილებული მოღვაწე მე, პირადად, საქართველოს თანამედროვე ისტორიისთვის საჭიროზე საჭირო, ლამის შეუცვლელ კაცად მესახება.

დღეს დავით აღმაშენებლის ქვეყანა ისტორიის ახალ ბილიკებზე მიდის და ამ უსიერ ტევრში გზის გამკვალავს, ბუნებრივია, მცირეოდენი შეცდომები მოუვა.

(დასასრული მე-4 გვ.)

ექსტრემიზმს ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ!

რომან გვენცაძე გამოხსნილია, სხვები კვლავაც ტყვეობაში არიან

ჩემი მოთხოვნა

შეგიძლიათ ვინმემ ჩაიხედოთ მოხუცი მამის გულში? შეგიძლიათ გაიგოთ, რაც მის სულში დღეს ტრიალებს?

მოხდა ის, რასაც ვერც ვიფიქრებდი, რასაც, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა: საქართველოში სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის მისული ადამიანები მძევლებად წაასხეს... მათ შორისაა ჩემი შვილიც — რომან გვენცაძე, რომელსაც ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — მშვიდობა დამყარებულიყო დასავლეთ საქართველოში, ნორმალურად ცხოვრება შესძლებოდა ხალხს, მშობლებს შვილების ქუჩაში გაშვების აღარ შინებოდათ. ასე მითხრა მან, ჩემმა შვილმა, ზუგდიდში გამგზავრების წინ.

მეც გზა დავულოცე.

და აი, რით გვიპასუხეს ვერაგებმა! ახლა მაინც ხომ ჩანს, ბატონებო, ვინ არის ქართველი ხალხის პატრიოტი და ვინ — მტერი.

მე ვიცი, რომ სამეგრელოში ყველა კეთილი ადამიანი და კაცური კაცი ჩემი შვილის გათავისუფლებას მოითხოვს, რადგან მათ საქმეში ნახეს იგი, დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად სამშვიდობო მისიით იყო ჩასული.

მივმართავ სამეგრელოს ყველა პატიოსან ადამიანს, ასეთები ხომ უდიდესი უმრავლესობაა, მივმართავ ჩემი ხნის ხალხს განსაკუთრებით: მოითხოვეთ ჩემი შვილის და მისი ამხანაგების დაუყოვნებლივ განთავისუფლება, ნუ გაახარებთ მტერს!

ღმერთმა შეაჩვენოს საქართველოს მოღალატეები!

ლევან გვენცაძე.

ეს წერილი გუშინ დილით გამოგვიგზავნა რომან გვენცაძის მამამ, წუხელ კი დაგვირეკა და გვითხრა: — მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ჩემი შვილის გათავისუფლებისათვის იღვაწა. მაგრამ ყველა დატყვევებული შინ უნდა დაბრუნდეს! ასეთია ჩემი მოთხოვნა.

●

გთხოვთ, იმოქმედოთ!

საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო საბჭოს
საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს
ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელს
ბ-ნ თენგიზ სიგუას

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი საქართველოს რეგიონალური ორგანიზაციები, ჩვენი კუთხის ხალხის სახელით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ვიწონებთ და ერთადერთ სწორ გზად მივიჩნევთ იმ პოლიტიკას, რომელსაც თქვენ ადგახართ ერთობის, შერიგების, სიმშვიდის, საქართველოს გადარჩენის, სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ერის უბოროტესი მტრები ყველაფერს აკეთებენ ქვეყანაში არეულობის, სისხლისღვრის, საქართველოს დაშლის, მისი დამოუკიდებლობის ხელყოფისათვის. მათთვის უცხოა წმინდა ეროვნული გრძნობები, მოქმედებენ მხოლოდ პირადი ამბიციებით და ბანდიტური მეთოდებით, ფეხქვეშ თელავენ კანონის უზენაესობას, ადამიანთა უფლებების დაცვის ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებს, ამის დადასტურებაა 11 აგვისტოს ზუგდიდში მომხდარი შემზარავი ბანდიტური აქცია.

ბატონებო, ერის ბედი, საქართველოს გადარჩენა თქვენს ხელთაა. აღარა გაქვთ დათმობისა და ყოყმანის უფლება. მოვითხოვთ გამოცხადდეს საერთო-სახალხო მობილიზაცია, ერთხელ კიდევ მოვუხმოთ გონიერებისაკენ და საჭირო შემთხვევაში ძალის გამოყენების გზით, მოვახდინოთ ბანდიტების, ქართველი ერის მტრების ლიკვიდაცია, დაამყარეთ წესრიგი და უპატრონეთ, მოუარეთ საქართველოს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხს, რომელთაც დღეს თქვენ უდგახართ სათავეში. ღრმად გვწამს, ბანდიტთა თარეშით შეწუხებული სამეგრელოს რაიონების მოსახლეობა ჩვენს გვერდით არის.

გთხოვთ, იმოქმედოთ!

საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელი", სრულიად საქართველოს საზოგადოება „ქართლი", სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთი", საზოგადოება „სამცხე-ჯავახეთი", საზოგადოება „ლეჩხუმი", საზოგადოება „ოკრიბა", სრულიად საქართველოს საზოგადოება „ეგრისი", საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთი", საქველმოქმედო საზოგადოება „ქუთაისელი".

●

ავლაგმოთ მოღალატეები!

საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირი, ჩვენი მოძრაობის თითოეული წევრი ღრმა გულისწყრომას გამოთქვამს იმ კიდევ ერთი ბარბაროსული, დანაშაულებრივი მოქმედების გამო, რომელსაც მიმართავენ ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის მტრები. ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ბანდების მიერ რესპუბლიკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ მუშაკთა შეპყრობა და მძევლად აყვანა, მათი ვერაგული დატყვევება ხელს უმართავს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის მოძულეებს, აშკარა მოღალატეებს, რაც მიმართულია ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

ჩვენ, ავღანელი ვეტერანები, მივმართავთ რა ქართველ ხალხს, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვგმობთ ექსპრეზიდენტის მომხრეების აღვირახსნილ და უგუნურ მოქმედებას, ადამიანის უფლებებისა და ღირსების აბუჩად აგდებას.

მოვუწოდებთ მათ, გონს მოეგონ, შეწყვიტონ აშკარა თუ ფარული ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, თორემ ავღანეთის ომის საშინელებაში გამოვლილ ვეტერანებს მეტი არ შეგვიძლია, მოთმინების ფიალა აგვევსო, ნუ გაგვხდით იძულებულს ისევ იარაღს მოვკიდოთ ხელი და სიცოცხლის ფასად დავიცვათ საქართველოს ერთიანობა, მისი ათასგზის ჭირგამოვლილი ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობა.

მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გათავისუფლებული იქნენ მძევლად აყვანილები, დროა მკაცრი სამართლებრივი შეფასება მიეცეს ქართველი ერის მოძულე მოთარეშეებს, ყაჩაღებს, მხარი დავუჭიროთ სახელმწიფო საბჭოს სამშვიდობო პოლიტიკას.

საქართველოს ავღანელ ვეტერანთა კავშირის საგანგებო შეკრების მონაწილეთა სახელით: გიორგაძე, მიხანაშვილი, თვალაბეიშვილი, ქობალაშვილი, გორდულაძე, ბერიანიძე, გოგოლაძე, ციხისთავი, ჭანტურია, მესხიძე, ლეონიძე.

1992 წლის 12 აგვისტო

●

ბრალსა ვდებთ!

გატაცებულთა და მძევლად აყვანილთა დამცველი საზოგადოება მოგმართავთ ყველა კეთილი ნების ადამიანს!

ადამიანთა გატაცების ფაქტები საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგეთა მიერ ჩადენილი უმძიმესი მორალური და პოლიტიკური დანაშაულია, პოლიტიკური ტერორის ყველაზე უზნეო სახეა.

მთელი ეს დანაშაულობანი არ წარმოადგენს ცალკეულ ინდივიდუმთა მიერ ჩადენილ კერძო ხასიათის დანაშაულობებს, ეს არის პროცესი, რომელსაც ცენტრალიზებული წესით წარმართავს ექსპრეზიდენტი უცხო ქვეყნიდან.

ჩვენი საზოგადოება ამ დანაშაულობებში ბრალს სდებს ექსპრეზიდენტსა და მის თანამზრახველთ.

გატაცებულთა და მძევლად აყვანილთა დამცველი საზოგადოება მოგმართავთ საქართველოს დროებით მთავრობას, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს! დაუყოვნებლივ განხორციელდეს მოთხოვნა ექსპრეზიდენტისა და მის თანამზრახველთა საქართველოს სამართალდამცველი ორგანოებისათვის გადმოცემის შესახებ.

დღეს საქართველო უმძიმესი განსაცდელის წინაშე დგას.

მოგმართავთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, თითოეულმა თავისი ძალ-ღონისა და შესაძლებლობათა შესაბამისად მიიღოთ აქტიური მონაწილეობა გატაცებულთა უვნებლად დაბრუნებაში!

გატაცებულთა და მძევლად აყვანილთა დამცველი საზოგადოება.

●

მოგმართავთ ქალებს

რესპუბლიკის ქალთა საბჭო აღშფოთებული ვართ, იმ ვანდალობით, რომელიც დღეს ხდება საქართველოში. მშვიდობიან ადამიანებზე თავდასხმა, მკვლელობა, ძარცვა, მოქალაქეთა გატაცება, როგორც ეს მოხდა ზუგდიდში ა. წ. 11 აგვისტოს, სახელმწიფო დანაშაულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების აფეთქება, ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს ამ კაცთმოძულე ტერორისტულმა ბანდებმა. ყველანი, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ ქალები გავწამდით, დავიღალეთ, თვალში ცრემლი გაგვიშრა აწიოკებით, ოჯახის წევრთა სიკვდილით, შეურაცხყოფით, მაგრამ, ვაი, რომ მაინც თქვენც გვეცოდებით, ჩვენო გზააბნეულო შვილებო, თქვენც ხომ ქართველები ხართ. გვეცოდება თქვენი დედები, რომელთა ლეჩაქები შეურაცხჰყავით.

გვინდა მოგმართოთ ქალებს, ყველას, ყველას, ყველას: ხმა ავიმაღლოთ უკანონობის, მკვლელობის, სამშობლოს მოღალატეთა წინააღმდეგ. სამართლიან ბრძოლაში მხარში ამოვუდგეთ სახელმწიფო საბჭოს.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენი მონდომებით, მეცადინეობით და ხელისშეწყობით გაიმარჯვებს სიმართლე. ძალის გამოყენების გარეშე დაგვიბრუნდებიან გატაცებული ადამიანები, დამკვიდრდება სიმშვიდე, მყუდროება, კანონიერება, შეწყდება სისხლისღვრა და საბოლოოდ აღსრულდება ჩვენი სანუკვარი ოცნება — ავაშენებთ თავისუფალ, დამოუკიდებელ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საქართველოს.

რესპუბლიკის ქალთა საბჭო

ნოდარ გურეშიძე

ავტომატიანი კაცი

ბოროტი და სახემკაცრი
ავტომატიანი კაცი,
შარა-გზაზე გამოსულა
ხალხს ძარცვავს და ტყე-ტყე დაძრწის.
ამდენ ცოდვას რად იკიდებს,
რად გვიმატებს სადარდებელს,
რომ აფეთქებს ბოგა-ხიდებს
და აჩერებს მატარებელს.
იარაღიანი კაცი,
ავტომატიანი კაცი,
სახლში ძალით გვივარდება,
მშვიდ ცხოვრებას აღარ გვაცდის.



გესვრის, გზაზე კაცს იტაცებს,
გართმევს, ყველაფრისგან გაგცლის...
ბალღამი და ბოღმა ავსებს
პატიოსან შრომა-ღვაწლის...
ასე რაღამ გადარია,
ტყისკენ რომ უჭირავს თვალი?!
კაცია თუ
აფთარია,
თავის მოძმის სისხლით მთვრალი...

ვინც სიკეთეს არად აგდებს,
გლეჯს და ძარცვავს თავის კუთხეს,
ნაგვის ყუთში გადააგდებს,
მომავალი მიაფურთხებს.
მოვარდნილა ვინც ყაჩაღად
ჩვენი ფარის წასარეკად,
ხალხი რისხვას გაუჩაღებს,
ხალხის ზიზღი გადალეკავს.
აღწევს ავტომატის ჯერით
კაეფს უმძაფრესი განცდის...
მოერიდეთ, შეაჩერეთ...
გეშინოდეთ ასეთ კაცის...
...ავტომატიანი კაცი,
გულღრძო, ბოროტი და მკაცრი
შარა-გზაზე გამოსულა
ხალხს ძარცვავს და ტყე-ტყე დაძრწის...
რა დაკარგა, რას დაეძებს,
შავბნელ წარსულს რომ გვახსენებს,
მკვლელს და კაცის გამტაცებელს
ცოდვა როგორ მოასვენებს...
აგერ, ავტომატიანი კაცი!
სულ სხვა ავტომატიანი კაცი!
სამშვიდობო გუშაგად დგას
და სიკეთის ყვავილს გვაწვდის!
ჩვილი ბავშვის ძილს დარაჯობს
ხვატია თუ ათოვ-აწვიმს,
მის მარჯვენას გაუმარჯოს,
გვაქვს იმედი ასეთ კაცის!

...ნეტავ იმ დღეს,
ნატვრის ბაღი
სიკეთით რომ აყვავდება
და კაცისკვლის იარაღი
შავბნელ წარსულს ჩაბარდება.

●

მხატვარი კარლო ფაჩულია.

წერილების ექო

„ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული"

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოდარ ჭითანავა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილი „ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული".

წერილში დასმულია საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შედის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების (განათლების, ტრანსპორტის, ცეკავშირის, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, მრეწველობის, დემოგრაფიის და ა. შ.) კომპეტენციაში.

მიგვაჩნია, რომ სოფელ რეხას და მის მსგავს პირობებში მყოფი სოფლების საზოგადოებრივ მეურნეობათა კუთვნილი მიწების დროული პრივატიზაცია შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი რეალური გზაა. რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილებით მიწის პრივატიზაციას ახდენს სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანო და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს რეხის საზოგადოებრივი მეურნეობის რეორგანიზაციისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას, ხოლო რაც შეეხება საწარმოო მომსახურების გაუმჯობესებისა და მცირე მექანიზაციით უზრუნველყოფის საკითხებს, მათი განხორციელების შესახებ წინადადებანი წარდგენილია რესპუბლიკის მთავრობაში.

დეპეშა ნომერში

დღეისათვის განკერძოებულია

თბილისი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მიმდინარე წლის 8 აგვისტოს ნომერში რუბრიკით — „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში" დაიბეჭდა წერილი სათაურით — „პრობლემები, რომლებიც ცხოვრებამ წამოჭრა", სადაც გაშუქებული იყო საქართველოს მთავრობის 5 აგვისტოს სხდომაზე განხილული საკითხის საცხოვრებელი ფონდის პრივატიზაციის (განკერძოების) შესახებ და აღინიშნა, რომ ეს პროცესი ახალგორის რაიონში საერთოდ არ დაწყებულა, სინამდვილეს არ შეესაბამება. რაიონში პრივატიზაციას ექვემდებარება 270 ოჯახი, კომუნალური ბინა დღეისათვის პრივატიზებულია 70, ანუ 25,9 პროცენტი, რაც, საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელს გაცილებით სცილდება.

ვ. ღუნაშვილი,
ახალგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პრეზიდენტის პროგნოზი და მხარდაჭერა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის აზრით, „მსოფლიოში მუდამ იქნება ცხელი წერტილები, მაგრამ, უახლოეს მომავალში მთავარ პრობლემად კვლავ დარჩება მასშტაბური ცვლილებები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლასთან არის დაკავშირებული". სიძნელენი, რომლებსაც რეფორმები აწყდება რუსეთში, „იწვევენ უდიდეს შეშფოთებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ელცინი ხელს არ აიღებს გამოცხადებულ მიზნებზე, — თქვა ბუშმა, როცა შეეხო რუსეთის ლიდერისა და ქვეყნის პარლამენტის ურთიერთობას. „...პარლამენტის ზოგიერთი ძალა უკმაყოფილოა კომუნისტური პარტიის გარდაცვალებით, სხვები — სამხედროთა როლის შემცირებით. ყველა ეს ძალა ხშირად ერთიანი ოპოზიციით ილაშქრებს ელცინის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ვგრძნობ, რომ იგი აპირებდეს საბაზრო რეფორმების განხორციელებაში წინსვლაზე უარის თქმას". ბუშმა თქვა, რომ მტკიცედ უჭერს მხარს დემოკრატიულ რეფორმებს და დასძინა: „ჩვენ ძალზე დიდ რისკზე წავედით და გვსურს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, განსაკუთრებით, რუსეთი განაგრძობდნენ წინსვლას დემოკრატიული რეფორმების გზით".

პრეზიდენტობის კანდიდატი აკრიტიკებს

ლოს-ანჯელესის მსოფლიო საქმეთა საბჭოს წევრთა წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან, არკანზასის გუბერნატორმა ბილ კლინტონმა თქვა, რომ ამერიკა ძლიერი უნდა გახდეს შინ, რათა განაგრძოს თავისი მსოფლიო ლიდერის სათანადო როლის შესრულება, რომ „პრეზიდენტმა ბუშმა დაკარგა ამერიკის ეკონომიკური უპირატესობა მსოფლიოს ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით. მისი საშინაო პოლიტიკა ახლა დამოკიდებულია საგარეო პოლიტიკის წარმატებაზე. იმისათვის, რომ ეფექტიანად დაეხმაროს სხვა სახელმწიფოებს დაადგნენ დემოკრატიული ცვლილებებისა და საბაზრო ურთიერთობების გზას, შეერთებულმა შტატებმა უნდა განიცადოს არა ეკონომიკური დაქვეითება, არამედ აყვავების პერიოდი". კლინტონმა მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტი ბუში იმის გამოც, რომ „მრავალეროვნულმა ძალებმა სპარსეთის ყურის რაიონში ბოლომდე არ დაამთავრეს დაწყებული საქმე... სადამ ჰუსეინი კი კვლავინდებურად ხელისუფლების სათავეშია და განაგრძობს თავის სისხლიან ტერორს და იმუქრება მთელ მსოფლიოს".

რამდენი უმუშევარია ინგლისში?

უკანასკნელი მონაცემებით, უმუშევართა რიცხვმა ბრიტანეთში 2.750 ათასს მიაღწია და მათი რაოდენობა სულ უფრო მატულობს. უმუშევრობისათვის დახმარება 12 თვით ეძლევათ. პრემიერ-მინისტრი მეიჯორი, რომელიც ერთ დროს უმუშევარი იყო, არ აპირებს მხარი დაუჭიროს ფინანსთა სამინისტროს მთავარი მდივნის პორტილიოს განზრახვას 6 თვემდე შეამცირონ უმუშევრობისათვის დახმარების გაწევის ვადა.

თითო აბზაცით

◎ იმ დროს, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი მეუღლესთან ერთად ესპანეთის მაღალმთიან რაიონში ისვენებს, მისი ვაჟი 17 წლის ჯეიმსი სასკოლო არდადეგების პერიოდში მაღაზიის დამხმარე მუშად მოეწყო საცხოვრებელი სახლის მახლობლად.

◎ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტოიან განევმა განაცხადა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბულგარელებს მთავრობა ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს იქ, სადაც ცხოვრობენ.

◎ გაეროს უშიშროების საბჭომ მოიწონა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჰუმანიტარული დახმარების მიტანის უზრუნველყოფის, აგრეთვე იუგოსლავიაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ორი რეზოლუცია.

◎ ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა და „ცივი ომის" დამთავრება არ ცვლის აშშ-ისა და ისრაელს შორის „განსაკუთრებულ ურთიერთობას", მათ „სტრატეგიულ პარტნიორობას".

◎ რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვალენტინ სტეპანკოვმა გადაწყვიტა ჟურნალ „ოგონიოკს" მისცეს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის საქმის გამოძიების ვერსიის პუბლიკაციის უფლება. შემდეგ იგი გამოიცემა ცალკე წიგნად სათაურით „კრემლის შეთქმულება-გამოძიების ვერსია".

◎ მორიგება უნდა გადაიდოს შემოდგომამდე, როცა საქართველოში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, ასეთი დასკვნა გამოიტანეს რუსეთის დეპუტატებმა, რომლებიც ცხინვალსა და თბილისში ექვსდღიანი მოგზაურობიდან დაბრუნდნენ ვლადიკავკაზში.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

13 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრები.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ თედო ჯაფარიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული საქართველოში, ქალბატონი ნორმა ჰარმსი; საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ — თურქეთის გენერალური კონსული საქართველოში ბატონი თიმურჩინ არბაქი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციათა დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ ბერიძემ — საქართველოში გერმანიის ელჩის თანაშემწე, ბატონი ფრედ ფანსელი.

საელჩოთა წარმომადგენლებს გააცნეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ესაუბრნენ იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მთავრობა ვითარების მოსაგვარებლად.

საკლესიო წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დამყარდეს საზოგადოებრივი წესრიგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქვეყანაში დამკვიდრდეს სამოქალაქო თანხმობა და აღმოიფხვრას ტერორიზმის ფაქტები.

საუბრის დასასრულს საელჩოთა წარმომადგენლებს გადასცეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიმართვისა და რესპუბლიკის მოსახლეობისადმი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვის ტექსტები.

რა გადაარჩენს საქართველოს?

(დასასრული)

მე ვთვლი, რომ მოუმზადებელი გახლდათ სახელმწიფო საბჭოს ამასწინანდელი ვიზიტი სამეგრელოში და სწორედ ამიტომ სასურველი შედეგიც ვერ მივიღეთ.

წალენჯიხის ინციდენტის შემდეგ უნდა გასულიყო ცოტა დრო, საზოგადოებისთვის უნდა ეცნობებინათ, რა მოხდა და ვისი მიზეზით მოხდა. უნდა ემხილათ (თუ სხვა არაფერი) მაინც დამნაშავენი. მერე მოეგვარებინათ წალენჯიხელ ლტოლვილთა დაბრუნებისა და სურსათით მათი მომარაგების საქმე. მერე პოლიციას უნდა მიეღო ზომები, რათა ეგზალტირებულ დედაკაცებს თავისუფლად არ ეპარპაშათ და ბოლოს, უნდა ჩასულიყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. ბარემ აქვე ვიტყვი, მისი ამალაც ისე უნდა შერჩეულიყო, რომ დაბეჩავებული ხალხის გასაღიზიანებლად რამდენიმე ისეთი პირი არ ჩართულიყო შიგ, რომელთა დანახვაც ისედაც ნერვებმოშლილ ადამიანებს არცთუ სასიამოვნო მოგონებებს აღუძრავდა.

გაიტაცეს თანამდებობის პირები. ეს ვანდალური აქტი თავისთავად რომ საშინელებაა, სადავო როდი გახლავთ, მაგრამ ცოტა ჩვენმა დოყლაპიობამაც ხომ არ შეუწყო ხელი? გაიტაცეს მოსალაპარაკებლად ჩასული ყარყარაშვილი და მაღლაკელიძე, გაიტაცეს მოსალაპარაკებლად ჩასული ხანდრო კავსაძე და ბოლოს, რამდენიმე დღის წინ, შინაგან საქმის სამინისტროს, ლამის, მთელი ხელმძღვანელობა. პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, რომ იმ რეგიონში მოსალაპარაკებლად ჩასულთ ხელმყოფდნენ? ნუთუ წინა გაკვეთილები არას ეუბნებოდათ ასეთი მაღალი რანგის ჩინოსნებს, რომ როგორც გამოაცხადეს; „ორმოცდაათი ბანდიტის“ მოსაგერიებლად, თუნდაც ორმოცდაათი დაცვის წევრი წაეყვანათ მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად? შეიძლება ასე, „ბულკივით“ უვარდებოდე სხვადასხვა რაზმებს ხელში და ერი ანერვიულო გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო?

აფეთქებენ ხიდებს, ძარცვავენ მატარებლებს, თანაც სისტემატურად და თითქმის ერთსა და იმავე მონაკვეთში, სასაცილოა, აბა, რა არის, გულუბრყვილოდ აცხადებენ: აბრაგებთან ერთად მთელი სოფელი (ერთხელ რიცხვიც კი — 1500 კაცი დაასახელეს) დედაწულიანად ძარცვავდაო მატარებელს მთელი ოთხი საათის განმავლობაში. ამგვარი ინფორმაციის უტაქტობას რომ თავი დავანებოთ, რა ხდება? ნუთუ ასე უძლურნი ვართ, რომ რკინიგზის დაცვა ვერ მოგვიხერხებია? ოთხი საათის განმავლობაში ყაჩაღები ნელა, გულმოდგინედ, სვენებ-სვენებით რომ ძარცვავდნენ მატარებელს, სად იყო ჩვენი საგზაო დაცვის სამსახური? ხიდს რომ ააფეთქებენ და ზუსტად ორი კვირის შემდეგ იმავე ხიდს ააფეთქებენ, ყური არ უნდა გამოიფხიკო და არ უნდა დააყენო შეიარაღებული დამცველები ხიდის თავსა და ბოლოში?

ახლა, როდესაც პოლიციის თანამდებობის პირები გაიტაცეს, ისეთი ხმაური ატყდა, ისე გახშირდა მიტინგები და განცხადება-რეზოლუციები, იმდენი საგანგაშო ზარი დარეკეს, თითქოს საქართველოს მთავარი საქმე იმ პირთა გამოხსნა იყოს და სხვა არაფერი. რასაკვირველია, ჩვენი ამხანაგები განსაცდელში არ უნდა დავტოვოთ, მაგრამ გვარდიისა და შინაგანი ჯარის მთავარი საქმე ის გახლავთ, რომ საერთოდ საქართველოს მოსახლეობა დაიცვან ყაჩაღებისაგან, ადამიანებს მშვიდი ძილის საშუალება მისცენ, მატარებლების მგზავრები დაიცვან გაუთავებელი თავდასხმისაგან... არც ის ვარგა, მოტაცებულ ადამიანებს მათი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით ვახარისხებდეთ, (ასეთი და ასეთი კაცია და თავი დავდოთ მის გამოსახსნელადო), შველა ყველას სჭირდება — უკანონოდ ხელყოფილსა და მტრებისგან ტყვედ წაგვრილს, რა რანგისაც უნდა იყოს იგი.

არ მომწონს გაუთავებელი განგაში და ადგილზე ნაცრის გუდის ბერტყვა. არ მომწონს გადახტომამდე ათასი „ჰოპის“ დაძახება და ქოშის უკულმა ჰყრა — აქაოდა, ხვალ მოვდივართ, დამიხვდითო. როგორ შეიძლება, პოლიციის გადაადგილებაზე ამდენი ინფორმაცია და სად, რამდენი, რა შეიარაღების პოლიციელი მიდის, წამდაუწუმ გამოცხადდება? მარტო სახელი გადმოვიღეთ პოლიციისგან? გაგვიგონიათ, ნიუ-იორკის პოლიციას გამოეცხადებინოს — ჯორჯიას შტატის განგსტერებო, ხვალ დილით მოვდივართ ამდენი და ამდენი კაცი, ასეთი შეიარაღებით და დაგვიხვდითო? ჩავლენ მითითებულ რეგიონში, სამ-ოთხ დღეს დაგვეკარგებიან თვალთახედვიდან, სამ-ოთხ დღეს მათი საქმიანობის შესახებ არას ამბობს რადიო-ტელევიზია და მერე ერთბაშად გამოგვიცხადებენ: ღამით, მძინარე „ჩვენებს“, ან სალაპარაკოდ მისულებს, თავს დაესხნენ „მტრები“, ამდენი მოკლეს და ამდენი გაიტაცესო. კი მაგრამ, დღიური საქმიანობით დაღლილი წესრიგის დამცველები ღამით რომ წაუძინებენ, არ შეიძლება, ნახევარმა იფხიზლოს და მძინარეთ უდარაჯოს?

სანამ შეიძლება საქართველოს ორგანული ნაწილი — აფხაზეთი ისე შორი და ხელმიუწვდომელი იყოს ჩვენთვის, რომ კოლხეთში დანაშაულის ჩამდენი გალ-ოჩამჩირეს შეადარებდეს თავს, ჩვენ კი ენგურის ხიდამდე მივდიოთ და მერე ადგილზე ფეხები ვაბაკუნოთ „სამშვიდობოს გასულთა“ შესაშინებლად? არ მომეწონა ანქვაბის ცნობა სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლის მიერ აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად. ნუთუ ვერ უნდა ვხვდებოდეთ, რომ სრულიად უადგილო და არაგულწრფელია ანქვაბის ზრუნვა რომან გვენცაძის და კომპანიის გასათავისუფლებლად? ასე დავიცავით ჩვენ გ. ლომინაძის მუნდირი? რატომ დარჩა „მღაღადებლის ხმად“ ე. შევარდნაძის განცხადება: „ჩვენ დავიცავთ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს ლესელიძიდან ყაზბეგამდეო?“ აკი მძევალთა გამოსახსნელადაც ვერ შევდივართ, თურმე, „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ ტერიტორიაზე?

დროა, მე მგონი, კარგა ხანია, დროა ბევრს რასმე ერთხელ და სამუდამოდ და გულდასმით ჩაუფიქრდეს ჩვენი სახელმწიფო საბჭო.

ვწერ ამ სტრიქონებს და თანდათანობით ეჭვი მიპყრობს; არის კი საჭირო აზრი გამოვთქვა პოლიტიკაზე? წაადგება ვინმეს რამეში ჩემი შენიშვნა-წინადადებანი? ან, რაც მთავარია, ყურად იღებს ვინმე? ჩამძახის ჩემს მაგიდაზე შემომჯდარი ეჭვის ჭინკა: დაატიე ენა პირში, შენ ხომ იმ ერს ელაპარაკები, რომლის წარმომადგენლებიც მატარებლებს გაუთავებლად ძარცვავენ, ათასწლოვან ტაძრებს სპილენძის ფილებს ხდიან და თურქეთში გააქვთ გასაყიდად, რომლებიც, წინააღმდეგ ეროვნული სტუმართმოყვარეული ადათისა, ადამიანებს იტაცებენ (ჯერ გაყიდვით, მგონი, არ ყიდიან. მოტაცებულ ქართველებს საზღვარგარეთ დიდი მაზანდა არა აქვს).

არა, ჩემო ეჭვის კაცუნავ. მე შენს ჭკუაზე ვერ გავივლი. არ შეიძლება რუსთაველის და ილიას იდეებზე გაზრდილი ერი გადაგვარდეს. ჩვენი უწესრიგობანი ეპოქამ მოიტანა. დანაშაულს ქართველი ერი კი არ სჩადის, თითოოროლა დამნაშავენი სჩადიან. ეს რომ ასე არ იყოს, მე ვიქნებოდი უბედური კაცი ამ დუნიაზე.

და მაინც, ჩემი ფიქრით, რა გადაარჩენს საქართველოს?

რუსეთის ხელისუფალთათვის მტკიცედ მოთხოვნა: შეასრულოს თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ თავისი კეთილმეზობლური მოვალეობანი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლად, კონფლიქტების, აწ უკვე, საყოველთაოდ გაშიფრული ინსცენირების გარეშე.

თუ რუსეთი არ მოიშლის სამაჩაბლო-აფხაზეთის ცხელ წერტილებში ცხვირის ჩაყოფას, მსოფლიო განგაში ატეხვა თვით „გაეროს“ და ევროპარლამენტის კომისიების ჩართვით საქართველოს მიმართ ყოველგვარი (აშკარა თუ ფარული) აგრესიის აღსაკვეთად.

როკის გვირაბთან დაუყოვნებლივი შექმნა ქართული საბაჟო სამსახურისა, რომელიც საცხოვრებლად ჩამოუშვებს მხოლოდ სამაჩაბლოდან ლტოლვილ ოსებს და არავითარ შემთხვევაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავისი ნებით წასულ ოსებს:

ცხინვალში ეროვნებით ქართველი ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა არჩევნებამდე.

საქართველოს იურისდიქციის დაუყოვნებლად გავრცელება სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე.

აფხაზეთში ქართველი შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნა და არძინბას გამთიშველი საქმიანობის გადაუდებელი განხილვა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

მტკიცე, მეგობრული კავშირის დამყარება ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოებთან მათი სუვერენულობის ცნობისა და პატივისცემის დადასტურების ხაზგასმით.

საქართველოს საზღვრების გამაგრება-დაცვა ყველა მიმართულებით.

საქართველოს ერთიანი, მონოლითური, სარდლობას დაქვემდებარებული ეროვნული არმიის შექმნა და ყველა სხვა შეიარაღებული ფორმირების გაუქმება შინაგანი სამინისტროს შენაერთების გარდა.

განუხრელი ზრუნვა საქართველოში ეროვნული ფენომენის გაძლიერებისათვის, გაუკაცრიელებული სოფლების გაცოცხლება და დემოგრაფიული აღმავლობის ხელშეწყობა.

პიროვნების უფლებების დაცვა და მკაცრი რეაგირება დივერსიების, ძარცვა-გლეჯის, პატიოსანი მშრომელის დათრგუნვის ყოველ უმნიშვნელო გამოვლინებაზე.

ზრუნვა ქართული კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ავტონომიების დაცვისა და გაძლიერების მხარდამხარ.

ორ-სამ თვეში სამაჩაბლოდან სამშვიდობო ბატალიონის გაყვანა და, საჭიროების შემთხვევაში, „გაეროს“ ძალების მოწვევა.

უკომპრომისო იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღება საქართველოში კუთხური პარტიკულარიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ, ეროვნულ მოძრაობაში რომელიმე კუთხის მეტი დამსახურების ხაზგასმის უსაფუძვლო ცდების აღსაკვეთად.

ხელშეკრულების დადება რუსეთის მთავრობასთან, რომელშიც, სხვათა შორის, ზუსტად იქნება აღნიშნული საქართველოდან რუსის ჯარის უკანასკნელი შენაერთის გასვლის თარიღი.

დაუყოვნებლივ უნდა დადგეს საკითხი საქართველოს ნატოს ბლოკში გაერთიანებისა, რათა ქვეყანამ გარეშე მტერთა აგრესიისგან დაცვის გარანტიები მოიპოვოს.

საქართველოს მოქალაქეობის კანონის მიღება და ქართული პასპორტისა და ფულის ნიშნების შემოღების დაჩქარება.

პრივატიზაციის განხორციელება კერძო საკუთრებისა და კერძო მეურნეობრიობის ყოველგვარი ფორმის წახალისების სულისკვეთებით.

ჭეშმარიტად ობიექტური, ნიჭის და პროფესიონალიზმის კრიტერიუმით გაპირობებული საკადრო პოლიტიკის გატარება.

11 ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო არჩევნებისთვის მხარდაჭერა.

1992 წ. 14.VIII.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დაჯახება იმდენად ძლიერი გამოდგა...

შუაღამისას ზესტაფონში სვირ-არგვეთის რკინიგზის გადასარბენის 2810 კმ-ის V-VI პიკეტის მონაკვეთზე ტექნიკური მიზეზით შეფერხებულ თბილისისკენ მიმავალ სახალხო-სამეურნეო ტვირთით სავსე № 8081 მატარებელს დაძვრისას უკნიდან დაეჯახა № 2817 სატვირთო მატარებელი, რომელსაც სამტრედიის დეპოს ზესტაფონის პუნქტის მემანქანე ზაურ გორგაძე მართავდა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

დაჯახება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ლიანდაგიდან ამოცვენილმა ბიტუმმა, მაზუთმა და სხვა საწვავმა სავსე ვაგონებს ცეცხლი გაუჩინა, შეწყდა სარკინიგზო მოძრაობა. დაიწვა ელმავალი და თორმეტამდე ვაგონი.

ავარიის ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ რკინიგზის ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

14 საათის განმავლობაში წმენდნენ გზას და აწარმოებდნენ სხვადასხვა სამუშაოს სამტრედიიდან და ხაშურიდან მოსული აღმდგენი მატარებლები. მთელი დღე-ღამე მუშაობდა სასწრაფო დახმარების სამსახური.

ხარაგაულის და ზესტაფონის ხელმძღვანელობა ყველაფერს ღონობს იძულებით შეჩერებული მატარებლის მგზავრთა მომსახურებისათვის, მამდინარეობს მუშაობა მოძრაობის აღსადგენად.

მომხდარ ფაქტს იძიებს ზესტაფონის რაიონის პროკურატურა.

ჰენრი შარიქაძე.

წყალში „ნაპოვნი“ ათასები

როგორც ყველა საწარმო, მრავალნაირ გასაჭირს განიცდის თელავის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანაც. კოლექტივი ეძებს გზებსა და საშუალებებს ახალ ეკონომიკურ გარემოში დასამკვიდრებლად. აქ წელს ას ტონაზე მეტი ყაზანლიყის ვარდი გადაამუშავეს. ადრინდელისგან განსხვავებით, ზეთის მიღებასთან ერთად, ტექნოლოგიურად გადაამუშავეს ნარჩენი წყალიც, რომლისგანაც 20 ტონა ვარდის წყალი გამოხადეს. ამან ქარხანას 60 ათასი მანეთი შემატა.

ზურაბ არსენიშვილი.

ციმბირის წყლული კვლავ გვიტევს

საბრძოლოდ მზად არიან რესპუბლიკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები, განსაკუთრებით საშიში სენის — ციმბირის წყლულის კერების გავრცელებასთან დაკავშირებით. დიდი ხნის დავიწყებული სენის მრისხანე დიაგნოზი დაუსვეს რესპუბლიკის 25 მცხოვრებს. ქალის ჰოსპიტალიზაციის უკანასკნელი შემთხვევა, რომელმაც ჭამა დასნებოვნებული ხორცი, დაფიქსირებულია ჭიათურაში, 7 აგვისტოს. დღეისათვის პირუტყვის გაწყვეტა აღინიშნა ივლისის უკანასკნელ დღეს.

როგორ დავიცვათ მოსახლეობა საშიში ინფექციისაგან? ამ კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა ალა ძიძოძემ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმის მოადგილეს მიხეილ ელიკაშვილს.

— დაავადების პირველი შემთხვევა, როგორც ცნობილია, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში აღინიშნა, — თქვა მან. — შემდეგ დასნებოვნების კერები, გამოვლინდა თელავის რაიონის სოფელ იყალთოში და გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში. სენმა მოიცვა ჭიათურის ზონაც. ვეტერინარულად შეუმოწმებელი პირუტყვის ხორცი ხვდება დახლებზე, იყიდება გზატკეცილებზე, და ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად, მას ყიდულობენ. სამწუხაროდ, გამორჩენის გულისთვის დაავადებული პირუტყვის პატრონები არ აფრთხილებენ შესაბამის სამსახურებს, კლავენ ცხოველებს, სნებოვნდებიან თვითონ და აავადებენ სხვებსაც. ჩვენ გავაძლიერეთ კონტროლი შემოსულ ხორცს, ყველა ბაზრის დირექციები გააფრთხილეს, რომ ეკისრებათ პასუხისმგებლობა. აღრიცხვაზე ავყავთ თითოეული საეჭვო შემთხვევა. ექიმები მეთვალყურეობენ ასამდე კაცს, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ დასნებოვნების წყაროსთან..

ციმბირის წყლული არ გადადის ადამიანიდან ადამიანზე. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს, საქონლის ეზოს მდგომარეობას. დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში აისახა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. შესუსტდა კონტროლი, საჭირო აცრა არ გაუკეთეს პირუტყვს. ჰოდა, სენი მოულოდნელად დაგვატყდა თავს. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე, დაავადებული პირუტყვის სამარხებზე, უნდა გამოვყოთ სპეციალური ადგილები, შემოვღობოთ ისინი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ციმბირის წყლულის სპორები 40 წლამდე ცოცხლობს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა თავიდან ავიცილოთ სენის მასობრივი გავრცელება.

— ხორცის გარდა, მოსახლეობას ეშინია რძის პროდუქტების, კერძოდ, კარაქის და ყველის ყიდვა. ზაფხულის პერიოდის მიუხედავად, მოთხოვნაა ღორის ხორცზე, რადგან ამბობენ, რომ მისი ჭამა არც ისე საშიშიაო.

— ეს შიში უსაფუძვლოა. დაავადებულ ძროხას უპირველესად, უშრება რძე, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მისგან პროდუქტების გამომუშავებას. რაც შეეხება ღორებს, ისინი მართლაც უფრო იშვიათად ავადდებიან ამ სენით. ჯერჯერობით, არ აღგვინიშნავს მათ შორის ციმბირის წყლულით დაავადების არც ერთი შემთხვევა. მაგრამ არსებობს სხვა საფრთხე — ტრიქინელოზი. თბილისში უკვე დაფიქსირებულია 111 კაცი ამ არასასიკვდილო, მაგრამ საკმაოდ მძიმე სენის დიაგნოზით. მას ახლავს მაღალი ტემპერატურა, სახსრების ტეხა, გამონაყარი. საინკუბაციო პერიოდი ხუთიდან ოც დღემდე გრძელდება. ამ სენის გამომწვევი პარაზიტები არ იღუპება ხანგრძლივი ხარშვის დროს. ასე რომ, არ შეიძლება დასნებოვნებული ხორცის გამოყენება. არ უნდა დავივიწყოთ სალმონელოზი. ამ შემთხვევაში, ბევრად უფრო ადვილია საკუთარი თავისა და ახლობლების გაუსაფრთხოება. ძალიან კარგად უნდა გაირეცხოს კვერცხი ჭამის წინ, იგი ათ წუთს მაინც უნდა ვხარშოთ. ასევე სრულ მზადყოფნამდე უნდა მივიყვანოთ ხორცისა და ძეხვის პროდუქტების კერძები. სენი გადადის, როგორც წესი, ინფიცირებული საზრდოს მეშვეობით.

— კიდევ რა უბედურება მოგველის? რესპუბლიკაში კატასტროფული სანიტარიული მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ბუზებისა და კოღოების ნამდვილი შემოსევაა, ახლახან კი საკუთარი თვალით ვნახე, მაღლივ სახლში, მესამე სართულის კიბით როგორ აუჩქარებლად ადიოდა ვირთხა.

— არ მინდა შეგაშინოთ, მაგრამ წლეულს უკვე დაფიქსირებულია ცოფით დაავადების ორი შემთხვევა. ეს უმძიმესი სენია. ან რა გასაკვირია — ქუჩებში და პარკებში დახეტიალობენ უპატრონო ძაღლების გუნდები. უნდა გვახსოვდეს, რომ, გარეგნულად უწყინარი ძაღლიც კი შეიძლება გახდეს დაავადების მიზეზი, ამიტომ, არ უნდა მივუახლოვდეთ უცნობ ძაღლებს, განსაკუთრებით — ბავშვები. რაც შეეხება ბუზებს, კოღოებს, თაგვებსა და ვირთხებს, თვითონ მცხოვრებლებმა დროზე უნდა შეატყობინონ შესაბამის სამსახურებს, რომ ნაგავი გასატანია, რომ უწესივრობაა საკანალიზაციო და წყალსადენ სისტემებში, განსაკუთრებით — ძველი სახლების სარდაფებში, სადაც კოღოები ბინადრობენ. უპირველეს ყოვლისა, სისუფთავე უნდა დავიცვათ საკუთარ სახლში. იქაც კი, სადაც ნაგავსაყრელები არის, საჭმლის ნარჩენები პირდაპირ იატაკზე ყრია, აღარაფერს ვამბობ ნაგვის კონტეინერებზე. რა თქმა უნდა, ეს არ ხსნის ბრალის წილს შესაბამის სამსახურებს.

ძნელ დროში ვცხოვრობთ, საყოველთაო დეფიციტის პირობებში, გვაკლია მანქანები, არ არის ბენზინი. ამიტომ, ნუ გავამძაფრებთ მდგომარეობას. თუ თითოეული ყურად იღებს ჩვენს გაფრთხილებებს, პირად კეთილდღეობას არ დააყენებს თანამემამულეთა ჯანმრთელობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, სიცოცხლეზე მაღლა, შევძლებთ მოვსპოთ ინფექციის საშიში კერები. შეიძლება ელემენტარულ რამეს ვამბობ, მაგრამ იძულებული ვარ, კვლავ და კვლავ გავიმეორო, რომ მხოლოდ სისუფთავისა და წესრიგის დაცვით შევძლებთ ვებრძოლოთ ანტისანიტარიას, აღვკვეთოთ სნეულებათა მასობრივი გავრცელება.

ეს ჩვენი საქართველოა!



ძველი მლესავი.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

გამოსათხოვარი

იზა ჭუჭულაშვილი

ქართულმა ბიოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, გენეტიკის კათედრის პროფესორი, თვალსაჩინო მეცნიერი, გენეტიკოსი და ევოლუციონისტი, შესანიშნავი პედაგოგი და მოქალაქე პროფესორი იზაბელა ილიას ასული ჭუჭულაშვილი.

იგი დაიბადა 1942 წელს. 1958 წელს დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე ასპირანტურაში ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გენეტიკის კათედრაზე. 1971 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1990 წ. აირჩიეს გენეტიკის კათედრის პროფესორად, 1991 წელს კი მიენიჭა პროფესორის წოდება. გამოქვეყნებული ჰქონდა 70-მდე სამეცნიერო შრომა.

ი. ჭუჭულაშვილის ლექციები ევოლუციის თეორიაში, გენეტიკურ ანალიზსა და ბიოლოგიის საფუძვლებში გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონით და პედაგოგიური მიგნებებით.

წლების მანძილზე იგი იყო ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამეცნიერო საბჭოს წევრი, სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და ყრილობების მუშაობაში.

განსწავლული მეცნიერის, საყვარელი პედაგოგისა და კოლეგის — იზა ჭუჭულაშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და გენეტიკის კათედრა; საქართველოს გენეტიკოსთა საზოგადოება; ქართული ეროვნული ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქცია.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაშენმასალების“ „საქმონტაჟცემრემონტის“ სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა სპეციალისტი, სამმართველოს უფროსის მოადგილე

კახა რევაზის ძე ასათიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მართვის ინსტიტუტი

აცხადებს დამატებით მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობები:
   ა) მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია — 25 ადგილი;
   ბ) საბაჟო საქმიანობის ეკონომიკა და მართვა — 25 ადგილი.
2. იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა: სამართალმცოდნეობა (საბაჟო სამართალი) — 25 ადგილი. სწავლება ფასიანია.

აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საბუთების მიღებისთანავე გასაუბრების ფორმით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების აბიტურიენტები, რომლებიც ვერ დააგროვებენ საკმარის (გამსვლელ) ქულებს, საგნების ჩაბარების ცნობის წარმოდგენის საფუძველზე ჩაირიცხებიან გასაუბრების გარეშე. განცხადებები, დამტკიცებული კონტიგენტის შევსებამდე, მიიღება 25 აგვისტოდან ყოველდღე (კვირის გარდა), 14-დან 16 საათამდე. სწავლა დაიწყება 14 სექტემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მიკრორაიონი, 171 საშუალო სკოლის შენობა.

მიმღები კომისია.

ფირმა „ნაციონალ-ექსპრესი“ გიწვევთ ეგზოტიკურ ინდოეთში სამოგზაუროდ (ქ. დელი — 6 დღე).

თქვენ გელით ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო ქალაქის ცენტრში, საექსკურსიო მომსახურება, ორჯერადი კვება — „შვედური მაგიდა“.

მარშრუტი თბილისი-მოსკოვი-დუშანბე-დელი.

ჩარტერული რეისით (ბარგის წონაზე გადასახადი არ არის).

მოგზაურობის ღირებულებაა 250 დოლარი და 25.000 მანეთი.

საბუთების გაფორმება და ღირებულების შემოტანა 25 აგვისტომდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 4 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გოთუას ქ. 14, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში მე-11 სართული, ტელ.: 87-52-01.

მივლინებით კაკლიანში

გვჭირდება ამდენი ექიმი?

გავიგე თუ არა, კახეთში, სოფელ კაკლიანში სამედიცინო უნივერსიტეტი გაიხსნაო, უმალ იქით გავეშურე. თვალს არ დავუჯერე, როცა რექტორის სავარძელში ჩვენთვის ცნობილი ბიზნესმენი ვანო კარაქწონაშვილი (ყოფილი ერბოწონაშვილი) დავლანდე. არ მელოდით, არა? მითხრა მომხიბვლელი ცბიერი ღიმილით ბატონმა ვანომ. დღევანდელ ცხოვრებაში არავის, მით უფრო ჟურნალისტს, არაფერი არ უნდა გაუკვირდეს. სხვათა შორის, ადრინდელ ინტერვიუებში დამავიწყდა მეთქვა, რომ საზღვარგარეთ ბიზნესთან ერთად მედიცინაც და ზოგიერთი სხვა სპეციალობაც შევისწავლე. ჰოდა, რაკი სწავლა-განათლება მყოფნის, რა დაშავდება ქალაქში კომერციული მაღაზიები მქონდეს, სოფლად კი — უნივერსიტეტი? ეგ კი არა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ ხოლმე, დრო როგორმე გამოვძებნო და სხვა სფეროებშიც წავეხმარო ჩემს გაჭირვებულ ქვეყანას. ბიზნესი ხომ ის ძარღვია, რომელიც დღეს ყველა დარგს კვებავს?

— გასაგებია, ბატონო ვანო, მაგრამ თვით თბილისშიც კი, სადაც ამჟამად რამდენიმე უმაღლესი და საშუალო სამედიცინო სასწავლებელია თავმოყრილი, სამედიცინო უნივერსიტეტის გახსნა ვერ გაბედეს...

— ვერც გაბედავდნენ. სამედიცინო ინსტიტუტში შარშან აბიტურიენტებმა იმისთანა პიკეტები მოაწყვეს, უნივერსიტეტის გახსნაზე რომელი ჭკუათმყოფელი იფიქრებდა? აი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მსგავსი არაფერი მომხდარა და უნივერსიტეტად გადაკეთებაც სულ უბრალოდ და უმტკივნეულოდ მოხდა. ასე არა ჯობს? მე პირადად ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით აბიტურიენტთა ინსტიტუტსა თუ უნივერსიტეტში ჩარიცხვა.

ჩვენთან ამის საშიშროება მოხსნილია. ჯერ ერთი, კახელები პოლიტიკას არ მისდევენ, მეორეც, აქ აქციებისთვის არავის სცალია. რაც შეეხება სახელწოდებას, ვერც ამაში ვხედავ რაიმე უჩვეულოს. ჩვენი მიზანი მარტივია: ფართო პროფილის საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლება მიეცეთ სტუდენტებს.

— სწავლება, ალბათ, ფასიანია?

— სხვანაირად ვერ წარმოიდგენია. უფასო სწავლებამ რა სიკეთესაც გვწია, დღევანდელი ექიმების ნამოღვაწარიდანაც ჩანს. ფასიანი სწავლება ჩვენი უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპია. ასე მგონია, სტუდენტს ფული რომ გადახდილი ექნება, რომც არაფერი ასწავლო, მაინც ისწავლის. ეს უბრალო სოციალური ინსტიქტია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის წლებში ადამიანს ჩაკლული ჰქონდა. ახლა გვეძლევა შესაძლებლობა სტუდენტში ეს თვისება გავაღვივოთ და იგი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

— ჩანაფიქრი, მართლაც, ურიგო არ არის, მაგრამ რატომღაც არ მახსოვს თქვენი მიზნები პრესაში გაგეცხადებინოთ.

— მართალი ბრძანდებით, გაზეთში განცხადება არ მიგვიცია. არც ვნანობთ. გარდა იმისა, რომ მასში ჩვენი შემოსავლის სოლიდური ნაწილი უნდა ჩაგვეყარა, გამოქვეყნების გარანტიაც არ გვქონდა. ხომ ფაქტია, ბევრმა გაზეთმა, უქაღალდობა რომ მოიმიზეზა, სასწავლებელთა განცხადებები მას შემდეგ გამოაქვეყნა, როცა იქ გამოცდები თუ გასაუბრება უკვე დამთავრებული იყო, ესეც არ იყოს, რეგისტრაცია არ გაგვივლია და განცხადების გაკეთების უფლება, ალბათ, არც გვქონდა.

— მერე არ გეშინიათ, სამართალში რომ მიგცენ?

— რისა უნდა გვეშინოდეს? რაღაც 200 მანეთით დაგვაჯარიმებენ და ეგ იქნება. ლეგიტიმურობა მთავრობას სჭირდება, თორემ ჩვენთვის მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარია ფული გვქონდეს, სტუდენტები გვყავდეს და დანარჩენს საბაზრო ეკონომიკა მოაგვარებს.

— სტუდენტები როგორ გეყოლებათ თუ მათ თქვენი უნივერსიტეტის არსებობა არ იციან?

— საქმეც ეგ არის, რომ იციან, და დავამატებდი, შესანიშნავადაც იციან. საბაზრო ეკონომიკა მე შემთხვევით არ ვახსენე. საუნივერსიტეტო მუშაობაში სწორედ მისი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ. ის დრო წავიდა, როცა ერთ ქეციან განცხადებას გამოაქვეყნებდი და მთელი საქართველო თავზე დაგეცემოდა. ახლა ჩვენ აბიტურიენტებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ინდივიდუალურად ვმუშაობთ. მათთან და მშობლებთან გასაუბრებაც (გამოცდები მოდაში აღარ არის) იქ, ბინაზე ხდება, და არა ჩვენთან, უნივერსიტეტში. ამ საქმეს, თანამედროვე ბირჟების დარად, სასწავლებელში ბროკერები უძღვებიან. ისინი ჩამოივლიან სოფლებში, შეხედავენ სახლს, მშობლების შესაძლებლობას და სწავლების ღირებულებასაც ამის მიხედვით განსაზღვრავენ.

— როგორ, ერთიანი გადასახადი არა გაქვთ დაწესებული?

— არავითარ შემთხვევაში. საბაზრო ეკონომიკა ხომ გათანაბრების სასტიკი მტერია. თუ გვინდა, რომ შედეგს მივაღწიოთ, ეს პრინციპი უნდა დავნერგოთ კომერციულ სწავლებაშიც.

— რაკი ასეა, ხომ არ აჯობებდა სტუდენტი საერთოდ სოფლიდან არ გასულიყო და ბროკერებს დიპლომები პირდაპირ სახლებში ჩამოერიგებინათ?

— ზოგიერთი კომერციული სასწავლებელი, რომელსაც ტექნიკური ბაზა არ სჭირდება, ამას აკეთებს კიდეც, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ ეს მეთოდი არ გამოგვადგება. მედიცინა ის დარგია, სადაც უპრაქტიკოდ ვერაფერს მიაღწევ. ერთი უვიცი ინჟინერი, გნებავთ კომერსანტი, ქვეყნისთვის საშიში არ არის, უვიცი ექიმი კი...

— გეთანხმებით, ბატონო, ვანო, მაგრამ თქვენს უნივერსიტეტში, რომელიც რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შეიქმნა, ხომ ექიმის არც თეორიული და არც პრაქტიკული მომზადებისთვის არავითარი პირობები არა გაქვთ?

— თქვენ მასე გგონიათ? თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც შარშან პიკეტის წყალობით 2500 სტუდენტი ჩაირიცხა, როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდებს სწავლა-განათლებით თავები უსკდებათ? რა ტექნიკურ და კლინიკურ ბაზაზე შეიძლება იქ ლაპარაკი, როცა სტუდენტებს ლექციის მოსასმენად დასაჯდომი სკამიც არ გააჩნიათ? ჩვენ კი ოთახებიც გვაქვს, მერხებიც და ფულიც იმისთვის, რომ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოვიწვიოთ.

ვიცი, მეტყვით, ავადმყოფს საიდანღა მოიწვევთო. ჩვენს სოფლებში და რაიონის საავადმყოფოში ავადმყოფების მეტი რა გვყავს? იქვე არიან თერაპევტები, პედიატრები, ნევროპათოლოგები, ქირურგები, სხვა პროფესიის მედიკოსებიც. ჩვენ მათთან გავხსენით „საავადმყოფო-აუდიტორიას“, სადაც სტუდენტები დიდ სამედიცინო პრაქტიკას ეზიარებიან.

ანდა, რა შეედრება ჩვენს „მწვანე აუდიტორიას“ — მოშრიალე ტყეებსა და მოღაღანე ველ-მინდვრებს, სადაც სტუდენტები ფიტოთერაპევტის საუკუნეობით მივიწყებულ პროფესიას დაეუფლებიან. რა დასამალია, დღეს საქართველოში ამ დარგის სპეციალისტები არა გვყავს. თქვენი ასფალტზე გაზრდილი ექიმი სამკურნალწამლო მცენარეებს კი არა, შხამიან სოკოს ნიყვისგან ვერ გამოარჩევს. ერთი სიტყვით, ეს სათბილისო პრობლემა არ არის, სწორედ ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მცენარეებით მკურნალობის პროფესიონალები, აღადგინოს წამალთმცოდნეობის ძირძველი ხალხური ტრადიციები. ამას თუ გადავწყვეტთ, აღორძინდება ფარმაცევტული ინდუსტრიაც.

ცხოვრებამ სხვა მხრივაც ჩაგვაფიქრა. გახსოვთ, ალბათ, „მრგვალების“ მმართველობის პერიოდში ხალხს მიტინგომანიის ეპიდემია მოედო. ახლა კი ავკრძალეთ, მაგრამ მარტო ეს არ უშველის, როგორც ჩანს, ზოგს მკურნალობაც დასჭირდება. შეიძლება სამკურნალო გაგვიხდეს ბიზნესმენობაც (რა თქმა უნდა, ჩემნაირი ბიზნესმენი არ მყავს მხედველობაში), რისთვისაც ახალი პროფილის ექიმები არიან საჭირო. ასეთი მედიკოსების აღზრდა, ვფიქრობ, ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა ითავოს.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სად წავიყვანოთ ამდენი ექიმი? ამბობენ, ჩვენში იმდენი მედიკოსია, მარტო ევროპის კი არა, არაბეთის ქვეყნებსაც ეყოფაო.

— ეს სტატისტიკაა, რეალობა კი ის გახლავთ, რომ ნამდვილი ექიმი საქართველოში სანთლით საძებარია. აი, ნახავთ, საბაზრო ეკონომიკა უვიცებს გარიყავს და ჩვენ მედიკოსთა მწვავე დეფიციტის პირობებში აღმოვჩნდებით (თუ უკვე არა ვართ). რა თქმა უნდა, უფასო სწავლება ამ პრობლემას ვეღარ გადაჭრის. ნამდვილი ექიმი, რომელიც მომავალ საქართველოს სჭირდება, კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა აღიზარდოს.

ოთარ ხუციშვილი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, [illegible], თბილისი, [illegible] № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ინდექსი [illegible]